ჩვენი თეობა

7

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
1940

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ჩვენი თაობა

საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური ორგანო

12 795

7

სახელმწიფო გამომცემლობა
ტფილისი
1940 წელი ივლისი

შინაარსი:

გვ.

მხატვრული ლიტერატურა

გაბრიელ ჯაბუშანური — ლექსები 3
იოსებ ნონეშვილი — ორი სონეტი 6
შალვა ამისულაშვილი — დაკარგული ჩანგი. . 8
კონსტანტინე ლორთქიფანიძე — უსიამოვნება . 10
ვლადიმერ უბილავა — მძინარე რაინდი . . . 18
ანდრო თევზაძე — აკვარაში 20
კოტე ხიმშიაშვილი — ჯონქა ხორნაული . . 21
ვლადიმერ სულაბერიძე — მარადი ქოხის ამშენებელი 30
ელიზბარ უბილავა — უსათაურონი 31
ნინო რევაზიშვილი — სამგორი 32
ადამ ალვანელი — ჩემი მემკვიდრეობა . . . 34

კლასიკური მემკვიდრეობა

მ. ი. ლერმონტოვი — სიმღერა მეფე ივანე ვასილის-ძეზე, ახალგაზრდა ოპრიჩნიკ კირიბეევიჩსა და მამაც ვაჭარ კალაშნიკოვზე. თარგმანი კოლაუ ნადირაძისა 37

კრიტიკა

გიორგი ნატროშვილი — გრიგოლ ორბელიანი . 51

სარედაქციო კოლეგია: ასტვაცატურიანი ერემია, ბენაშვილი დიმიტრი (პასუხისმგებელი რედაქტორი), გრიშაშვილი იოსებ, კლდიაშვილი სერგო, ქიაჩელი ლეო, შენგელაია დეფნა, ჩიქოვანი სიმონ.
პასუხისმგებელი მდივანი: ნიკოლოზ აგიაშვილი

წარმოებას გადაეცა 15/VII-40 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/VIII-40 წ. ქაღალდის ზომა 72 × 108. ჟურნალის ზომა 7 × 11½. ფორმათა რაოდენობა 4. შეკვეთის № 1335. უე 1115. ტირ. 4000.

სახელგამის პოლიგრაფიული კომბინატი, ჟორესის ქ. № 5.

გაბრიელ ჯაბუშანური

ლექსები

ვაჟასთან სათქმელი

შენ და ყაზბეგმა თითო რეული
გვიბოძეთ მე და ჩემს ამხანაგებს
და ამის შემდეგ ვით ორეული
თქვენი აჩრდილი მარად თანა გვდევს;
ღამეს მაღალი ფიქრით განათევს, —
მოყვება დილის მძაფრი სურნელი
და განთიადზე შემოგვანათებს
მზერა მცდელი და მზერა მზრუნველი.
ეს თქვენ ხართ! —
გვემცნო ამაყ არწივთა
ჰვრეტა მზიანი, თან ამაზრზენი
და ჩვენს აკვნებსაც ამად არწევდით,
რომ გვეწრთო მთები თამამ აზრებით.
ამას რომ ვამბობ — თავს არ გადარებთ,
გვწამს უფროსთადმი ჯრძალვა მთიელთა,
თქვენ მთელი ხალხი გულით გატარებთ,
როგორც რაინდებს ივერიელთა.
ჩვენს წარსულ სვეზე ასგზის გვატირეთ,
დღეს ნათელ დარით დანათირებნი;
თქვენ ყველა მთები გადინადირეთ
და ხალხს მიეცით ნანადირევი.
მას ვერ დააშრობს ყამთა გადავლა,
დასტოვეთ განძი — ზღვა უსასრულო,
მიუმცდარია თქვენი ნასროლი
და უსასრულო თქვენი ნადავლი.
ჩვენც იმ გზებს მივდევთ, —
სად ნამუხლარი —
თქვენი ატყვია მაღალ ქარაფებს,
მაგრამ ჩვენ ხმა გვაქვს თქვენგან უხმარი

და სხვა ტკივილი გვალაპარაკებს;
თუმცა ერთია კვლავ ასპარეზი, —
სხვაა მიზანი და იარაღი,
სხვაა ნადირიც,
როგორც თარეში
მდორე მტკვრისა და გიჟი არაგვის.
მაინც რომ სიტყვა ხვითორეული
დარჩეს და ამ მთებს გაუთანაბრდეს: —
თქვენი აჩრდილი, — ვით ორეული
გვემეგზურა და მარად თანა გვდევს.
და თუ ჩვენ ხმაში მტრის დამზოგავი,
ან დიაცური გაისმა ბგერა —
ჰხამს ის ხმალს ეგოს, როგორც ხოგაი.
ან მოვკლათ, — როგორც ძე ხევის ბერმა.
შენ და ყაზბეგმა თითო რვეული
გვიბოძეთ მე და ჩემს ამხანაგებს
და ამის შემდეგ, ვით ორეული,
თქვენი აჩრდილი მარად თანა გვდევს.
ჩვენც იმ გზებს მივდევთ, —
სად ნამუხლარი —
თქვენი ატყვია მაღალ ქარაფებს,
მაგრამ ჩვენ ხმა გვაქვს თქვენგან უხმარი
და სხვა მიზანი გვალაპარაკებს.

ამინდის კალენდარი

1

ესდენ უდარობა ფშავს არ ღირსებია,
მწყემსებს მოენატრათ მნათობის დანახვა,
წვიმს და მეხი ხვივის — ეშმაკმა დალახვროს:
მთაშიც ნისლებია... გარშიც ნისლებია...
კლდის თავზე კრავები დგანან პატარები
და ერთი მათგანი დოპილს ეუბნება:
ნუ თუ ამ ჩვენს მწყემსებს არა აქვთ უფლება,
რომ ზეცას ახლავე სთხოვონ გადარება?!!

2

დღეს ცა წმინდა არის თეთრი ბატკანივით,
არაგვიც სიმშვიდით ბატკანს დაედარა,
მზეც თეთრ ბატკანსა ჰგავს: — მოკლედ, გაიდარა,
მშვიდად იყურება თეთრი მთათ განივი.
იმავ კლდის თავზე სთვლემს ჩვენი ორი კრავი,
ერთმა გაიგონა დედის ნაზი წვევა,
სხვა კი ჩასჩურჩულებს: დაო, ნურსად წავალთ,
თორემ თავს უცილოდ, წვიმაში გვიკრავენ...

3

ისევ შეიმოსა შორი ცა მოვითა,
მე კი მეჩქარება ლექსი დავამთავრო:
არაგვს აეშალა ნისლების სამთავრო, —
მალე, შეიძლება, თქორი წამოვიდეს.

გაზაფხულის თოკვლი

ობლად შერჩენილხარ მთათა სიმწვანეში,
როგორც უმკაცრესი ზამთრის მოგონება;
ფერი გეცრიცება ბალახთა წინაშე
და მზემ აცრემლება უხვად მოგანება.
ჭრელი ყვავილები, როგორც გოგონები —
გვერდზე გიცქერიან — ფერადკაბიანნი;
შენს ქვეშ ბალახებიც მდურვას გაგონებენ:
თავი გაგვანებე... ჩვენ რად გვაგვიანებ???
თავთეთრ მწვერვალებს სთხოვ: ხლების მოგცენ ნება, —
მათთან დასახლება ხშირად გინატრია;
დღისით მზე გალღობს და არ გაქვს მოსვენება,
ზამთრის ქარ-ყინვა კი, ჰოი, ჯერ ადრეა...

იოსებ ნოდეშვილი

ორი სონეტი

არსენას საფლავთან.

ძმებო, სიმღერა ძველისძველი, გულის მთაფლავი!..
ბიჭი არსენა გაგვიწყრება ასე მდუმარედ.
აქ ჩვენს წინაპართ დაუღვრიათ ცრემლი მდუღარე,
ჩვენ ყვავილებით შემოვქარგოთ მისი საფლავი.

ჩვენ ყვავილებით შემოვქარგოთ ათას-ნაირად
შევკრათ გვირგვინი, მაგრამ გულში დარდი არ იყოს.
იქნებ გაიგოს მისმა ძვლებმა, იქნებ გაიგოს,
დაჰკარით დუდუკს, სტვირს ეყოფა, რაც იშაირა.

დაჰკარით დუდუკს,... შესანდობარს ამბობს თამადა,
შესანდობარი წესადა გვაქვს მამა-პაპადან.
დავლიოთ უნდა ხალხის გმირის და მეგობარის,

დავლიოთ უნდა, ცას შევუდგათ ყანწების ბოლო,
დავლიოთ უნდა,... მაგრამ რა აქვს შესანდობარი!?..
მდიდრებს ართმევდა და ღარიბებს აძლევდა მხოლოდ.

შაჰაბაზი.

დაასხი ღვინო, მალე ქვეყნად აღარ იქნება,
აღარც ეგ ღვინო აღარც მსმელი,

ჰეი მერქიფევ.

შაჰაბაზი.

შენს ტირანობას სტრიქონები თუკი გადაშლის,
წინაპართ ღვარძლი ჩემს ძარღვებში ისევ მოღელავს.
სწვავდი ქვეყანას, .გამოგქონდა დიბა-ატლასი

ჰარამხანაში ხათუნების შესამკობელად.
გრძნობდი შაჰობაც განგებისგან რომ ვერ გიხსნიდა,
მაშ რატომ გედგა ღვინის ჯამთან ჯამი სისხლისა?!..

როცა დაეცი პოეტ მეფეს მახვილთა ელვით,
ო, რად არ იგრძენ პოეზიის წმინდა ნათელი.
ო, რად არ იგრძენ... ხალხის სისხლით ისე დათვერი,
თვით ფერეიდანს დააფრქვიე ქართველთა ცრემლი.

მილიონების ბედიღბალს რომ ხმალქვეშ ჰმონებდი,
ბნელ სამარეში საგანძურად რა ჩაგყოლია!?..
სისხლიან პოეტს უკუღმართი გული გქონია,
მიტომ უკუღმა დაგიწერე მეც ეს სონეტი.

შალვა ამისულაშვილი

დაკარგული ჩანგი

მონღოლური თვალები გაქვს, მონღოლური სახე,
მონღოლურად იცი მზერა, ვის დაუგებ მახეს?!..
ვინ იქნება შენი ლომი,
შენი სანუკვარი?..
ვინ იქნება, დაიმშვენოს ვეფხის ნამუხლარი?!..
შენ რად გინდა შვილდისარი,
ნუ დაჰფერფლავ იმედს,
შენ ისედაც დააჩოქებ გაქანებულ ირემს!..
დახვალ, თავზე დაგჩხრიალებს
გადამდნარი ოქრო...
გსურს: იარა გუშინდელი სიყვარულმა მოსპოს, —
მაგრამ კიდევ გელანდება
დაკარგული ჩანგი,
არ ილევა, არა ჰქრება მწუხარების ქანგი...
ვინ მოგპარა, ვინ წაიღო
ვინ დაგტოვა მარტო?
სხვა რა ბგერა შეათრთოლებს იაგუნდის ტატნობს?!..
მე ვფიქრობდი: გიტაცებდა
მხოლოდ ქარის ქროლა,
უდაბნოში სიარული, დიუნებთან ბრძოლა.
ქარავანის ქარავნობა,
გვალვიანი სუნთქვა,
თან ეყვნების საუბარი შუაღამის ბურთან...
მე ვფიქრობდი: გიტაცებდა
მხოლოდ თარის ხმები,
მოჩხრიალე შადრევნები, დაბზარული ქვები,
მზის უზანგი, მთვარის ბადე,
ვარსკვლავების კრთომა,
აზიური ნაპერწკალი, აზიური ტრფობა...
თურმე ჩანგიც გყვარებია,
მშობლიური ჩანგი,
თურმე ბევრი მოგიხიბლავს ჯადოსნური ჰანგით...
ნეტავ სადმე შემხვედროდი,

შენი ქება მეთქვა,
ნეტავ შენთან მომესმინა ენძელების ფეთქვა!..
სად წასულან ის დღეები,
სად წასულან, მითხარ,
ეგებ სიტყვით წამოვშალო, იგალობონ დიდხანს...
კმარა სიზმრად ფიქრის ტანჯვა,
კმარა, ჩემო, კარგო,
დროა მზისფერ ჩუქურთმებით მომავალი ვქარგოთ!..
მე წუხელაც დამესიზმრა
შენი ოქროს ჩანგი,
ზღვა ღელავდა, იქ არ იყავ, მკლავდა შენი ჯავრი,
ტალღას ჭავლი ჩახვეოდა,
აჟღერებდა სიმებს;
თოლიები ირეოდნენ, გემი თრთოლდა მძიმედ...
მოდი, გულს ნუ დაისერავ
შხამიანი დაშნით,
მოდი, ვითომ შენი ჩანგი დაბინავდა ზღვაში...
მერე რაა?.. ჩემი გულიც
ზღვას ეკუთვნის მარად,
ზღვაა ჩვენი შთაგონება. არ იდარდო, არა!

კონსტანტინე ლიკრთაძიშვანიძე

ესიამოვნება

ტარასი უთენია გარბოდა სახლიდან.

გარბოდა მგელივით კისერგაშეზებული. გვერდზე მიხედვის ეშინოდა.

განგებ არ ამჩნევდა ნეხვით გადაშავებულ კოინდარს, ბაღში გადაჭმულ ვერცხლისფერ „მაკოცეს“, გახშირებულ ჭინჭარს, თამამად რომ მოსდგომოდა შუშაბანდის კიბეს, თითქოს სახლში აპირებდა შესვლას.

ბაღის გვერდით ტალავერი იდგა, იზაბელას ხუჭუჭა მტევნებით დახუნძული. ამ ტალავერში სტუმრის მიღება და ცოტა გადაკვრაც უყვარდა ტარასის. ახლა იგი უკანასკნელ ფოთლამდე გაეფცქვნათ უპატრონოდ მიტოვებულ თხებს.

ტარასი თვალს არიდებდა ღობეს: წაფერდილი სარები თითქოს ხელს იშვერდენ, აგვაყენეთო.

კარიც ველარ ჩამოჰკიდა ფეხსადგილს. სტუმარ კაცებს წვრილიანისკენ მიუძღვებოდენ ჩურჩულით მისი ბაღლები.

ბოსტანში ანწლი და გვიმრა თარეშობდა.

მინადორას ბავშვი ჰყავდა ძუძუზე.

ისიც დიდი იყო, რომ აბრეშუმს უვლიდა და სადილ-ვახშამს აკეთებდა. ოჯახში დამარტოხელებულმა ქალმა იმდენიც ველარ მოიცალა, რომ სიზმრის ასახსნელად მეზობლებთან მაინც გადასულიყო.

შარშან ფელამუშობაზე ერთხელაც ვერ მოიარა დედულეთი.

ქათამი რომ ხეზე შეფრინდებოდა, ისიც მიეგდებოდა ქანცგაწყვეტილი. ბავშვი ტიროდა, მინადორას ხელი არ მიჰყვებოდა, რომ საკინძი გაეხსნა და ძუძუ მიეცა ჩვილისათვის.

გარეთ მთვარე ქათქათებდა, შემოდგომის ნელთბილი მთვარე. შარაზე ქალების თავაწყვეტილი კისკისი ისმოდა. ისინი კლუბში მიდიოდნენ. მინადორას გული წყდებოდა, რომ ასე გამოთიშული იყო ტოლებში.

ტარასი დილიდან საღამომდე ჭალაში ტრიალებდა. ღამესთან ერთად თუ შემოიხედავდა ოჯახში. ფეხზე ძილი ურჩევნოდა ცოლთან დაწოლას.

გაკაპასებული დედაკაცი თვალის მოხუჭვას არ აცლიდა. ანჯღრევდა, აფხიზლებდა, კოლოსავით ერთსა-და იმავეს ჩაზუზუნებდა.

— გძინავს, კაცო! ოი, შენ დაიძინე გაუღვიძებლად! არ შეიძლება ასე, რამე უნდა გადავწყვიტოთ, გაოხრდა ყველაფერი.

---

*) თავი რომანიდან „იმერეთი“.

ცოლი მართალი იყო. მათი ეზო-გარემო ნასახლარს ჰგავდა.

მინადორა წელზე ფეხს იდგამდა ცალულელა ხარივით, რომ ტარასის ხელი არ შეშლოდა. კბილს კბილზე აჭერდა, ავი სიტყვა არ წამომცდესო, მაგრამ გაზაფხულზე კაცი ისე გაძვირდა ოჯახში, რომ ცოლმაც მოთმინება დაჰკარგა.

ერთხელ ღამით, როცა ისინი ძილისპირზე ტკბილად პუტუნობდენ, მინადორამ მოულოდნელად იკითხა, როდის მოათავებთ სოციალიზმის შენებასო.

იკითხა უხუმროდ, ისე მიამიტად, რომ ტარასის სიცილი წასკდა.

— ბარე ათი თხუთმეტი წელი დაგვჭირდება, ჩემო მინადორა...

ტარასიმ სიტყვის დასრულებაც ვერ მოასწრო, რომ ცოლმა დაზაფრულივით შეჰკივლა:

— რაო, ხუთმეტი წელიწადიო! აბა ასე უნდა ვიწვალო ხუთმეტი წელიწადი?! რა გაცინებს შე არდასაცალებელო, ჩემი ტანჯვა გახარებს?!

ჩაფეთქილ ლოყაზე ვარდისფერმა გადაჰკრა, გამხდარ კისერზე მუქილურჯი ძარღვები დაენაკვთა.

ტარასი ამშვიდებდა, ახალი ნერგები გავაშენეთ, — ვიდრე მოვაშინაურებთ, თვალს ვერ მოვაცილებთო, მაგრამ ძარღვებაშლილი ქალი ისე აცმაცურებდა ცხვირის ნესტოებს — კაცი იფიქრებდა, რამეს ყნოსავსო.

— ხუთმეტი, ხუთმეტი! — იმეორებდა ამ სათვალავს და ისე დაფეთებული შესცქეროდა ქმარს, თითქოს ლოგინში უცხო მამაკაცი შესწოლოდა.

უცებ საბანი მოიგლიჯა, ჭილოფზე ჩამოხტა.

— დაბლა დეეგდე, ნუ მაკარებ შენს მუნიან ფეხებს! — იყვირა და ქმარს ბუხრისპირას მიუგდო ლოგინი.

ტარასი აყალმაყალს ერიდებოდა. ცოლის ცხარე სიტყვას დამშვიდებულ პასუხს აგებებდა, რთველის შემდეგ ცისადამიწის წყალობას პირდებოდა, მაგრამ არ შეგჭამა ჭირმა, მინადორას ვერაფერი შეასმინა. დილიდანვე მარტის თოვლჭყაპივით რომ ატყდებოდა, გადალებას არ აღირსებდა კაცს.

ერთხელ ჭალიდან დაბრუნებულმა ტარასიმ ვიღაც ჩოფურა ბიჭი შენიშნა უკანა ეზოში, უშნოდაწოწილი, ფეხშიშველა, — შეშას ჩეხდა. მუხლისთავები უჩანდა, ისე შემოდნობოდა ტანზე ორივე შარვალი. ერთი ნიფხვის მაგივრად ეცვა.

მხოლოდ ხალათი ემოსა რიგიანი.. ის ხალათიც თავისად ენიშნა ტარასის.

ვინ არისო, ჰკითხა ცოლს გაკვირვებულმა.

— ძიძიშვილი მესტუმრა. ღარიბია, საწყალი! მადლია მისი პატივისცემა, — მიუგო ცოლმა.

— ბარემ შარვალიც მიგეცა, შე ქალო.

— ქე მინდოდა, მარა უკითხავად ვერ გავბედე.

ცოლის მშვიდობიანმა კილომ ტარასი მოხიბლა.

— რა კითხვა უნდა მაგას. — ალერსიანად უსაყვედურა და ჩოფურა ბიჭს თავათ გამოუძებნა შარვალი.

ძიძიშვილის ჩამოსვლის შემდეგ მინადორა სულ ერთიანად გამოიცვალა. უწინდებურად აღარ ბუზღუნებდა.

ახალი სხივი ჩადგომოდა თვალებში და ისე დამტკბარი ხვდებოდა ტარასის, თითქოს გუშინდელი პატარძალი ყოფილიყოს.

ცოლთან ერთად კარმიდამოსაც ეცვალა ფერი. ბალს მოვლა დაეტყო, ვენახიც გაითოხნა და ლობეში წაფერდილი სარებიც გასწორდენ.

„კერის ანგელოსი მომევლინა," ფიქრობდა გახარებული ტარაში და ძიძიშვილს პატივისცემას არ აკლებდა.

ვერ ამხელდა, თორემ გულით ძალიან უნდოდა, ჩოფურა ბიჭი მასთან დარჩენილიყო მოსავლის აღებამდე.

*

* *

სიცხისაგან შეღონებული ტარასი უღონოდ ჩაკეცილიყო უნაგირზე. სწყუროდა.

ცხენის მხურვალე, ოფლიანი ფერდები წვივებს უდაგავდა. ფეხები ფართოდ გაეჩაჩხა და პირქუფრად შესცქეროდა აგრონომის ნაცრისფერ ჯოროს, ხალისიანად რომ მიჩიქჩიქებდა ბილიკზე.

ტყიდან რომ გავიდნენ, ტარასი ოდნავ ჩამორჩა და უზანგებზე აიმართა, იქნებ სადმე ჭის ორთაყვირი გამოჩნდესო, მაგრამ მოსახლეს რა უნდოდა ამ დასაკარგავში.

გარშემო, სანამ თვალი მიწვდებოდა, ჯეჯილივით გადამწვანებული მინდორი ღელავდა. ასე მოსჩანდა შორიდან მრავალგზის შეჩვენებული ანარია, ჭალითა და ლაქაშებით თავმორთული და ასე უვნებელი ერთი შეხედვით.

ლაქაშებს შორის თბილი და მწვანე — დუბელა წყალი იხედებოდა, და ამ ლაქაშებს, მიმღნარ ბუჩქებს, ყველაფერს, რაც ოდნავ მიწას აშორებოდა, ისეთი სქელი და შმორიანი ოხშივარი დაფარფატებდა თავზე, თითქოს უზარმაზარი უთოთი მიწაზე გაფენილ ძონძებს აშრობენო. მაგრამ რა გააშრობდა ამ უქმურის ბუდეს, სადაც წელიწადში ორასორმოცდაათი დღე წვიმიანი იყო და მდინარის დონე ნიადაგზე მაღალი.

ოდესღაც ანარიაში რაჭველები გადმოსახლდენ.

რკინიგზის მახლობლად პატარა სოფელი მოიცოდვილეს. ულმობელმა ციებცხელებამ მალე დარია ხელი გადმოსახლებულებს.

დაღრეკილი ქოხმახები ანარიას ხაშმიანმა სუნთქვამ დანერწყვა.

ლოგინი დანამულს ჰგავდა, შეშას ცეცხლი არ ეკიდებოდა და ადამიანიც ღრუბელივით იჟღენთებოდა ნესტით.

დაჯდებოდა კაცი სადილად და ცალხელში შეფოთლილი ტოტი ეჭირა, რომ კოღო მოეგერებინა. აქაური მოსახლის კარმიდამოში კოღო უფრო ხშირი იყო, ვიდრე ფოთოლი.

ნასადილევს დავარდებოდა კაცი საწოლზე, ცოლი აყრიდა თავზე საბნებს, ბალიშებს, რაღაც ძველმანებს... მაინც ვერ თბებოდა თაკარა სიცხეში და მისი აბორგებული სხეული ლეწავდა ბამბუკის საწოლს და თვითონაც ილეწებოდა, დასახურავს ითხოვდა.

საღამოსჟამს წამოდგებოდა დაბეჟილი, გასავათეშული, თითქოს გახელებულ კამეჩთან ებრძოლოს.

ჩაცვენილ თვალებში უქმურის სხივი ჩაქსოვებოდა, შაკიკით გაოგნებულს, წელის დაღება უმძიმდა, თოხი ხელიდან უვარდებოდა.

ავდარში ავზნიანად სისინებდენ მაღალი ლაქაშები და ადიდებული გუბისწყალი ურა-ცხენივით შემოვარდებოდა ყანებში.

მერე ამ მოთარეშებულ მინდვრებზე გაჩნდებოდენ ბაყაყები, გადაშენების შემაძრწუნებელი მოთქმით ავსებდენ ანარიას უძილო ღამეებს.

და მაშინ მამაკაცები სტოვებდენ სახლკარს, დღიურ ქირაზე დაძრწოდენ იმერეთის ქალაქებში. კეკერას ფხალით შუბლგაკრული ქალები ლანდებივით დაფრატუნებდენ წალეკილ ყანებში და როგორც წაქცეულ ბავშვებს, ზეზე აყენებდენ ალერსიანად ზოგან გადარჩენილ სიმინდს, თხრიდენ შლამში ჩამარხულ კვახებს.

აქაურ ქალიშვილს სხვაგან გათხოვება არ ეწერა.

რომელი სოფელი ისურვებდა ამ უკმურის კერძის პატარძლობას, რომელსაც მზითვად მამალი ციება მოჰქონდა მხოლოდ.

მშიერ-მწყურვალი ბალღები ტანში დასრულებას ვერ ასწრებდენ, რომ უკვე ბერდებოდენ უდროოდ, გახედნილი მოზვერივით.

პანტა-მსხალივით ეფინებოდენ მიწას მგელმუხლა მთიელები და მაინც ებრძოდენ უკეთურ ბუნებას, როგორც მარცვალი ებრძვის დაგვალულ ნიადაგს, რომ გაღვივდეს და აღმოცენდეს.

ქოხებზე — გაჭვარტლული, დაძენძილი ისლი, ყვავის ბუდესავით ჩამოშლილი.

მოლრეცილ სარზე — ცხენის თავის ქალა, ავი თვალისა და მავნე ფეხისაგან.

ეზოში — ტყირპისაგან მუცელდაბერილი ბალღები.

ოჯახს სული ხდებოდა ვალში და როცა სადმე ბიჭუკელა დირეზე ჩამოჯდებოდა სათამაშოდ, უფროსები მყისვე დაუტატანებდენ, ადე, მევალემ არ მოგვაკითხოსო.

„ისე ვიტანჯებით, თითქოს საფლავში გავიღვიძეთო! — ამბობდენ ანარიელები და გმობდენ ქვეყნის გაჩენას, სადაც წელიწადში ორასორმოცდაათი დღე წვიმიანი იყო და მდინარის დონე ნიადაგზე მაღალი.

ბევრი ამოწყდა. დანარჩენებმა მიყიდ-მოყიდეს, რისი წაღებაც არ შეიძლებოდა და კახეთს შეეხიზნენ უკეთესი ბედის საძებნელად.

უდროო საფლავის ჯვრები დარჩა მხოლოდ რაჭველების ნასახლარზე.

ასე გადაშენდა ცოდვის დღეზე გადმოსახლებული სოფელი.

მახლობელი სოფლები ჭირის დღესავით გაურბოდენ ანარიას. მისი ტევრიანი ჭაობები სავსე იყო გარეული ფრინველით, მაგრამ მხოლოდ თავზეხელაღებული მონადირე თუ გაბედავდა ანარიას უკმური მყუდროების შეშფოთებას..

ტარასის ძლიერ უკვირდა, რომ აგრონომი ამ უკაცურ ადგილებს ეტანებოდა.

თავისთავს ტუქსავდა, რომ დღესაც გაბრიყვდა და გეგელიას აედევნა. გული ვერ ეხმო, რისთვის დაღოღავდა ეს მოუსვენარი მოხუცი ამ დასაკარგავში.

აგრონომმა ერთხელაც არ გაუზიარა გულის-ნადები.

მარტო მეგზურად გინდებვარო; უსაყვედურა წუხელ გეგელიას; გადასწყვიტა, არსად გაჰყოლოდა ამიერიდან, მაგრამ დილით შენიშნა თუ არა ორღობეში ნაცრისფერი ჯორი, გულმა აღარ გაუძლო და თავისი ირღოლაც სწრაფად შეკაზმა.

აგრონომს ფონთან დაეწია და ცალყბად მიაშავა:

— ხომ ჩამიგდე ხელში, რაღა გიჭირს!

— როგორ გეკადრება, ტარასი! — დაუყვირა მოხუცმა, პირზე ვარდი გადაიფინა.

— ასე ულმერთოდ დამაინტერესე და არც არაფერს მეუბნები!

— ბევრი ცოდნა მალე დაგაბერებს — აგრონომმა სიტყვა ბანზე აუგდო და სახე მოარიდა, რომ მუხთალი ღიმილი დაემალა.

— დავბრუნდები, შენს ნათლულს ვეფიცები!

— შენი ნებაა, თუ გული მოგცემს და მარტო გამიშვებ ამ სკვარამში!

— რა ღჯუ ხარ!..

ასე კინკლაობდენ, სანამ ჭალას გალევდენ.

მერე აგრონომმა საველე ჩანთიდან რუქა ამოიღო და ფანქარი მოიმარჯვა.

ისე გაერთო, ტარასი კიდეც მიავიწყდა.

შუადღე მოძალდა.

კოლოების გაბმული ზუზუნი ლითონივით ელრიალებდა ჰაერში.

წინალამით უძინარ ტარასის თვლემა კისერს სტეხდა.

ჩამოქვეითებას აპირებდა; შუადღე გადავიჩრდილოთო, ურჩია აგრონომს, მაგრამ პასუხის მაგივრად თანამგზავრი ჯორს შეუწყრა.

ტარასის შერცხვა და თვითონაც ჩამოჰკრა აღვირი ნებაზემიშვებულ იორღას.

რკინიგზას რომ მიაღწიეს, აგრონომმა რაჭველების ნასახლარს შემოუარა; გულდასმით შეათვალიერა ჩაქცეული არხი და რუქაზე რაღაც აღნიშნა. ჭილოფის ქუდს მარაოსავით იფრიალებდა ცხვირწინ.

ტარასი თვალს არ აშორებდა აფუსფუსებულ მოხუცს.

უკვირდა, საიდან ჰქონდა ამ ბერიკაცს ამდენი ჭარმაგობა, რომ ყველაფერში ხელს ურევდა, ყველგან ასწრებდა და ისე მონდომებით ეტანებოდა ყოველგვარ საქმეს, თითქოს თავის გაცდენილ ახალგაზრდობას ინაზღაურებდა.

— ხედავ? — მობრუნდა უცებ აგრონომი და მათრახით სივრცე შემოხაზა.

— რას? — ვერ მიხვდა ტარასი.

აგრონომმა ჩაიცინა და არაფერი უპასუხა.

ჭაობში რომ შევიდნენ, ტარასის სული შეუგუბდა სიცხისაგან, თითქოს გახურებულ თონეს ჩასცქეროდა.

თხემლის ჩრდილში ცხენი შეაყენა.

შორიახლო მოშამბულ ბექობზე ჩაბალახიანი კაცი შენიშნა.

უცნობი შარვალს იკარწახებდა. მისი თეთრი და ხმელი კანჭები გალოპრილი ეკლისხის ჯოხებს ჰგავდა.

ჭაობში ჩავიდა. წყალი კოჭამდე წვდებოდა, მაგრამ სარივით დარჭობილი კაცი თანდათან ეფლობოდა ჭაობში.

მუხლამდე რომ ჩაეშვა, ნაპირს ჯოხი მიაბჯინა და გარინდდა.

ერთხანს ასე უძრავად იდგა. მერე ნაპირზე გამოვიდა.

ახლა მისი კანჭები კარგად დანახშირებულ მორგვებს მოგაგონებდათ. უფრო გამსხვილებულიყვნენ და შავად ელვარებდენ მზეზე.

„წურბლებს იჭერს!“ — მიხვდა ტარასი და ცხენი ბექობისაკენ მიაბრუნა.

მეწურბლემ შენიშნა მისკენ მომავალი ცხენოსანი, რატომღაც დაფრთხა და ბუჩქებს მოეფარა.

სწრაფად დაყარა კანჭებზე მოკიდებული გამხდარი წურბლები; მერე დაბნეულად მიმოიხედა, თითქოს გასაქცევს ეძებდა. ადგილი მოიცვალა და უფრო მოიხარა. ეტყობოდა, არ უნდოდა ტარასისთან შეხვედრა. ქილას თავი მოუკრა და ბორცვებზე ხტუნვით რკინიგზას მიაშურა.

ტარასი გაოცდა. უზანგებზე აიმართა და გაქცეულს თვალი ჰკიდა.

„რატომ გამექცა?! — გაიფიქრა და საეჭვოთ ეჩვენა ჩაბალახიანის უცნაური მოქმედება.

ბუნდად იგრძნო, რომ მეწურბლე მას ემალებოდა, პირადად ტარასის. ეს უცაბედი გუმანი არ თავსდებოდა უბრალო ცნობისმოყვარეობის ფარგლებში. ამიტომ ცხენს ქუსლი შემოჰკრა და უცნობს გამოუდგა.

რატომღაც დაიჯერა, რომ ჩაბალახიანის გაქცევა შავიშვილების წერილთან იყო დაკავშირებული.

ერთი ცუდი ზნე სჭირდა ტარასის, როგორც ყოველ ეჭვიანს:

უბრალო ამბავში მთელი შეთქმულება ელანდებოდა..

კარის ჭრიალში თავდასხმა ეჩვენებოდა.

ასე დასჩემდა შავიშვილების წერილის შემდეგ.

ეს გადაჭარბებული სიფრთხილე შავიშვილების სულმდაბლობით იყო გამოწვეული. ყაჩაღი ძმები პირისპირ შეხვედრას გაურბოდენ.

მათი საყვარელი ხერხი იყო, — ბნელი ღამით გამოძახება..

ყველას რომ ეძინა, ძმები შემოღამებულ სტუმრებივით მიადგებოდნენ ათვალწუნებულ ოჯახს; „მაინძელოს“ ძახილით თვალში ამოღებულ მსხვერპლს გარეთ გამოიტყუებდენ და იქვე ამოხდიდენ სულს ლაფარობში ჩასაფრებულნი.

ამბობდენ — „მაინძელოს“ დასაძახებლად შავიშვილებს რამდენიმე კაცი ჰყავდათ აჩენილი ახლომახლო სოფლებში.

კაცის მოსაკლავად ძმები ხანჯალს ხმარობდენ. ხანჯალი უხმო იყო და უმტყუნო.

ტარასის არ უნდოდა, ასე უსახელოდ წახდენილიყო შავიშვილების ხელით.

ფრთხილად ეჭირა თავი, რადგან ყაჩაღებს სახით არ იცნობდა. ღამით უცნობს რომ გადაჰყროდა, ხელი ჯიბისაკენ მიჰქონდა.

მეწურბლე გარბოდა. თეთრი ჩაბალახი კარგახანს ელავდა ბუჩქებში. მერე უცებ გაჰქრა და ტარასიც აჩქარდა.

„გზირი მომიჩინეს“, — ფიქრობდა იგი და მოურიდებლად მიაპობდა კატაბარდებს, მაგრამ მალე შეფერხდა.

ცხენი ჭანჭრობში ეფლობოდა და ფეხის ამოღება ისე უჭირდა, თითქოს მთელი ქვესკნელი ჩაფრენოდა და ქვევით ეჭაჩებოდა.

გულდაწყვეტილმა დევნას თავი მიანება, მშრალზე გამოვიდა.

ხელმარჯვნივ ჩაბალახი გამოკრთა.

უცნობი ისევ ბექობისაკენ მიჩანჩალებდა. შუაგზაზე მხარნაქცევივით შესდგა და ყოყმანის შემდეგ გუბისწყლისაკენ გაემართა.

ტარასის ბოროტად გაეღიმა.

მიხვდა, ჭაობში ჩაკეტილი უცნობი გასავალს ეძებდა.

ერთად-ერთი ბილიკი, რომლითაც მონადირე ჭაობის სიღრმეში შედიოდა, გუბისწყალთან იწყებოდა, აშკარა იყო, ჩაბალახიანი ამ ბილიკს ეძებდა.

გახარებული ტარასიც გუბისწყლისაკენ გაძუნძულდა. ჭაობის ბილიკი წისქვილთან გამოდიოდა.

ისინი წისქვილთან უნდა შეხვედროდენ ერთმანეთს.

ისინი შეხვდენ...

როგორ განცვიფრდა ტარასი, როცა წისქვილის არხზე ტალახში ამოგინგლული, ოფლადგახეთქილი დახუნდარა გადმოხტა.

ხელში მოზრდილა ქილა ეჭირა.

ქილაში გამხდარი წურბელები ხვანცალობდენ.

„აი, თურმე ვინ ყოფილა!" — ტარასის შერცხვა: გზირის მაგივრად დახუნდარა შერჩა ხელში.

რევოლვერი ჯიბეში ჩაიდო და გულამოვარდნილ კოლმეურნეს სუსხიანად შეაცქერდა.

კოლექტივში შესვლის შემდეგ დახუნდარამ მაინც არ მოიშალა მისებური. წუწკობდა, იღლიტებოდა. თვალს რომ მოაცილებდენ, მაშინვე ანარიაში გარბოდა. წურბლებს იჭერდა, საჭილოფე ჭილს თიბავდა და ხონის ბაზარზე გაჰქონდა.

ტარასის დანახვაზე დახუნდარა წახდა. ეშმაკური პირისახე შებრალების გამომეტყველ ლიმილში ჩაუდნა.

— თავი არ იმართლო! — გააფრთხილა ტარასიმ.

მაგრამ დახუნდარა უკვე აქაქანდა, კოხივით დაუშიწა.

— გუთანი გაფუჭდა, ტარასი. ვიფიქრე, შეკეთებამდე ცოტას გავერთობი-თქვა და აქეთ გამოვისეირნე. ტყვილა ვიჯექი თორემ გუთანს რავა მივატოვებდი...

— მიჰქარავ! — ხმადაბლა მოუჭრა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ.

— სინდისი შემირცხვეს...

— რომელი სინდისი, შე ვაჭრუკანა, რომელი...

— რა ვქნა, აბა! — იყვირა დახუნდარამ და წელში გასწორდა.

დაეწმალა პირისახეზე ქლესურად შეყრილი ნაოჭები; მთელი მისი ალნაგობა მკაცრი და შემტევი გახდა.

— რა ვქნა! — გაიმეორა და ტარასის თვალი გაუსწორა: — კოლექტივის თავმჯდომარე რომ ვიყო, იცოცხლე, მეც დავიყენებდი მოჯამაგირეს!

— რომელი მოჯამაგირე, ხომ არ გაგიჟდი, ბიჭო!

— რომელი და შენი ქალბატონი ძიძიშვილს რომ ეძახის ხალხის თვალისასახვევად. ის ბიჭი დღესაც აღმასკომში იყო, ქალალდებში გამატარეთო. თურმე შენთვის ყველაფერი შეიძლება! კაცი ბუასილმა მომკლა და ნებას არ მაძლევთ, ორი ღერი წურბელა სატკივარზე მივიკონო! თუ ასეა, მეც ჩევეწერები პარტიაში და მორჩა...

*

* *

გულამღვრეული ტარასი დიდხანს იდგა წისქვილთან.

„სულელი დედაკაცი!" — გაიფიქრა და საყელო გაიხსნა, თუმცა უკვე გრილოდა, ბინდდებოდა.

ღამით ზენაქარი ამოვარდა.

ფიქრად წასული ტარასი მთვრალივით ირწეოდა უნაგირზე.

სოფლის სიანლოვით გახარებული ცხენი თავს ართმევდა, სულწასულად ფრუტუნებდა. მისი ჩქარი თოხარიკი ტარასის ფიქრებს უფანტავდა.

სწუხდა კაცი და ცდილობდა ცხენი ნელა ეტარებინა.

— „რავა გამიბედა, რავა არ მკითხა!“ — ბუტბუტებდა ტარასი და სისხლი ეყინებოდა, რაიკომის მდივნის დამცინავ თვალებს რომ გაიხსენებდა.

კიდეც რომ გამართლდეს, სოფლის ენას რა მოთოკავს! ბრუნდი და მართალი მუდამ წამოაკრავს, მოჯამაგირე დაიყენე და ხალხის თვალისასახვევად ძიძიშვილად გამოაცხადეო.

„თმებით ვათრევ იმ გაოხრებულს!“ — აღმოხდა ფიქრებში გაცბუნებულს.

გვერდით მიმავალი გეგელია უნაგირიდან გადმოიხარა და ყურში ჩასძახა:

— რამდენი?

ქარის გადაყვირებას ცდილობდა.

ტარასი გამოერკვა. შერცხვა და სწრაფად გამოეხმაურა:

— რა რამდენი!

— დაყრუვდი, კაცო! რამდენი მუშა ხელი გყავს კოლექტივში?

— ორმოცდაორი ქალებიანად...

— გავწვდებით, თუ მოვინდომებთ! შენ რას იტყვი?

„რა უნდა, რას მეკითხება!“ — გულის ტკივილით გაიფიქრა ტარასიმ. ძალა არ შესწევდა, ყური დაეგდო აგრონომისათვის. ესმოდა მისი აღტაცებული ლაპარაკი, მაგრამ აზრის გამოტანა უჭირდა.

ქარისა და სიბნელის გამო, აგრონომმაც ვერ შენიშნა, რომ ტარასის გული ჩაეთხრო და ამ ქვეყანას არ იყო.

ისინი ისე დაშორდენ ერთმანეთს, რომ კოლმეურნეობის თავჯდომარეს არც გაუგია, რა გაბედული გეგმა ჩაისახა ამ საღამოს გეგელიას მოუსვენარ გონებაში.

მხოლოდ ერთი მწვავე და მოუთმენარი სურვილი აპირთავებდა ტარასის: რაც შეიძლება ჩქარა მისულიყო შინ...

ბოგირზე ჩამოქვეითდა.

ჭიშკარს აღებდა. ერთბაშად ურდულს ხელი მოსწყვიტა, ცხენი ღობეზე მიაბა და უკანვე გაბრუნდა.

გულმა უთხრა, ასე გახელებული ოჯახში არ უნდა შესულიყო. არ ივარგებდა, თავს ვერ შეიკავებდა.

ეწადა დამშვიდებულიყო, რომ ოდნავ მაინც განელებოდა ცოლის თვალთმაქცობით აღძრული ბრაზი.

„სულელია, სულელი!“ — არწმუნებდა ტარასი თავისთავს, რადგან სულელს მეტი ეპატიებოდა.

ღამე სავსე იყო ქარით და ჩატაროებული ყანის შრიალით.

ტარასი ბოლთას სცემდა შარაზე.

ფიქრობდა ცოლზე. ცდილობდა კარგი ეფიქრა მხოლოდ. ამიტომ შარშანდელი წელიწადი გაიხსენა. რა მორჩილად გაჰყვა მაშინ ავადმყოფი მინადორა მეშფოთარ ქალებს ნაკადის გასაწმენდად! მერე იყო და ნაღველი ჩაექცა ხონში სირბილით, რომ საბავშვო ბაგა მოეწყო. სათითაოდ ჩამოითხოვა იმდენი ავეჯი და თეთრეული...

შარაზე ჭადრების ჩრდილი ეფინა. ჩრდილი შავი იყო, მიწა თეთრი...

ფიქრადწასულმა ტარასიმ ორჯერ ისკუპა ჩრდილიდან ჩრდილზე.

წუმპე ეგონა მთვარისგან გაქათქათებული მიწა.

11 795

ვლადიმერ უგილავა

მძინარე რაინდი

არაგვის პირზე ჩაეძინა ოდესღაც ქალაქს,
თვლემს ირაინდივით ათასეულ წლების კალთაში,
ზედ შედნობია ფარ-აბჯარი ხმალი, ქარქაში,
მაინც თვლემს მშვიდად, გაღვიძების სურვილი არ აქვს.

მაგრამ იძინოს! დაღლილია, კითხეთ ამ არაგვს,
როგორ გაჰქონდა იმის ხანჯლებს ომში კაშკაში,
როცა პომპეოსს, მაკედონელს დახვდა ვაჟკაცი.
დასცა ყველანი, მოითენთა და სძინავს წყნარად.

და ესიზმრება ახლა ასე: აგერ მტკვრის პირას
დგას რაინდულად სხვა ქალაქი, ნათელში ბრწყინავს,
იგი იზრდება, სიცოცხლით დულს, ჰყვავის დიადი.

და თან იგონებს ამ მძინარე არაგველ რაინდს,
ვინც ქართლოსელნი აარიდა ბევრ მსუსხავ ამინდს,
თვითონ თვლემს, თუმცა დასდგომია თავს განთიადი.

დაბრუნებისას

დაბრუნებისას მჯერა, აქ მართლაც
ჩემი ბავშვობის ყიჟინა ისმის,
მე ყურს დავუგდებ ნიავის ფართქალს
და ყრმობის ხმაზე ლუღუნებს ისიც.
სალამი მინდვრებს, რომელთაც ბავშვმა
შეავლე ახლადგახსნილი თვალი;
დღეს მინდა ვნახო, მახლობელ ფშანთან
ჩემი ბალღობის თუ დარჩა კვალი.
ასე მჩვევია — ფიქრი ფრთიანი
ამიტანს უცებ ამ მიწა-წყალზე,
მე დამყვა კოლხურ ზეცის ტრფიალი.

მოველ და შუქი მადგება თვალზე.
მხვდება მეურნე... ველში, ბაღნარში
ბულბულის ჰანგთა მესმის წკრიალი;
ვუმზერ — თავთავთა ნელი თამაშით
შემეგებება ყანა ცვრიანი.
სალამი მინდვრებს, რომელთაც ბალღმა,
შევავლე ახლადგახსნილი თვალი!
მოდი, დაჰქროლე, ნიავო, ბაღნარს,
ასე ჰქრის ჩემი ოცნება მალი!
დაფიქრდით თვითონ პოეტმა რა თქვას,
თუ აღტაცებამ შეიპყრო ასე.
მე აქ ყურს ვუგდებ ნიავის ფართქალს —
ღუღუნებს ყრმობის და ლექსის ხმაზე.

როგორც კაკაბი შემლერის ირემს

ამბობენ თურმე ფრთხილი კაკაბი
ხოტბებს შემლერის მთასნყვირალ ირემს
და, როგორც ტყიდან წყარო კამკამით,
ჰანგები წკრიალს არ წყვეტენ მცირედ.
რას მღერენ თუნდაც მოლალურები,
ესეც ქებაა ვინმეზე იქნებ;
მთვარის ატლასით შევიბურები
და მივეცემი მეც შენზე ფიქრებს.
მხიბლავდა წინათ ვარდი, ბულბული.
ნეტა კვლავ ვიყო გულჩვილი ბავშვი!
დღეს შენ გიპყრივარ... ფულის გუგუნით
გამოვვარდები დაბურულ ბაღში.
მაგრამ რა მოხდა! მე თავს ვიკავებ,
მსურს დაფიქრება, დავმშვიდდე მცირედ;
და ლექსებს გიმღერ, როგორც კაკაბი
შემლერის თურმე მთასმყვირალ ირემს!

ანდრო თევზაძე

აჭარაში

ამ ზღვის ტალღებს და ამ სპეტაკ ნიავს
ლაღი ფიქრები მოაქვს და მიაქვს.

აქ ყველაფერი მზით იფერება,
ქვებიც კი გრძნობენ ბედნიერებას.

არც ღრუბელი სჩანს, არც არის ქარი,
ზღვა მაინც არის მოუსვენარი.

ტალღაც ისწრაფვის ნაპოს ეს მხარე,
მოვა და კლდესთან გადიხარხარებს.

შორს რქებაყრილი მისცურავს გემი
და სადღაც მიაქვს ოცნება ჩემი.

ფერხულს თამაშობს ტალღების ჯარი
და დინჯად უცქერს მთები აჭარის.

ნარინჯოვნების მწვანე ქსოვილი
ფორთოხლებითა მოოქროვილი.

ცა შეპარვია ამ დილით დარაჯს
და ვარსკვლავებით ბაღში დამჯდარა.

ლაღი აჭარა ახარებს ამ გულს,
აქ ვერ გაარჩევ ზამთარს და ზაფხულს.

მახარებს ხალხის ბედნიერება,
რომ გაიხარეს ჩაგრულ ერებმა.

რომ აჭარასაც დასცქერს ცა ლილის,
და ამ ცაზეა — შუქი სტალინის.

კოტე ხიმშიაშვილი

ჯონქა ხორნაული *)

II

შარშანდელი გუზები

ავტომანქანა გზისპირად მარტოდ მდგარ სახლთან გაჩერებულიყო.

ალფეზი მანქანიდან ჩამოვიდა და პატრონის დანახვაზე ჯონქას ფეხებთან ძაღლები აწრიალდნენ. ერთსართულიანი, თეთრად შელესილი სახლი, ვიწრო სარკმელებიდან გამომკრთალი მოწითალო სინათლეებით და უკან მიდგმული თავლითა და ფიცრული შენობებით განთიადის ბურუსში ძველ ფუნდუკსა ჰგავდა, დაღლილ მგზავრებს რომ შეხვდებათ ხოლმე ასწლიან რომანებში. კრამიტის სახურავზე მტრედისფერი ბოლი წყნარად ეხვეოდა გამჭვარტლულ საკვამურს; ფუნდუკის კართან ბომბორა, თეთრი ნაგაზი ჩაკუცქულიყო ჯაჭვით დაბმული და ბევრი ყეფისაგან ნაღვინევი კაცივით ხმაჩახლეჩილი წკავწკავებდა. სადღაც, თავლის უკან, გრძელი პაუზებით ჰყიოდა მამალი.

— სადა ვართ? — ჰკითხა ჯონქამ მასავით ნამძინარევ შოფერს.

— თეთრ დუქანში, — ზანტად მიუგო შოფერმა და მანქანიდან ძირს ჩავიდა. ძაღლები სწრაფად გასხლტნენ გაღებულ კარში და კუდის ქიცინით ალფეზთან მიიჭრნენ. ჩიქოვანი, მესამე თანამგზავრთან ერთად, მოკლე ბოლთასა სცემდა მუხლის გასამართავად. ჯონქამ მხოლოდ ახლა შეათვალიერა ის მესამე. უცნობს რქის სათვალეები ეკეთა, ბეწვის საყელოიან პალტოში ჩაემალა ნიკაპი და ჯიბეებში ხელჩაწყობილი გვერდით დაჰყვებოდა ჩიქოვანს. განთიადის სიცივე საკმაოდ საგრძნობი იყო; ჯონქაც ჩამოვიდა მანქანიდან და შეცივნულმა ხელების შმუშვნით გაიარა მოჭირხლულ შარაზე. პირი გამომშრალი ჰქონდა, თავი უმძიმდა წუხანდელ ნასვამსა და გამოუძინებელს.

— შენ ახლა ნაბახურევი ხარ, ხასიათზე ვერ იქნები, — გაუღიმა ალფეზმა, — არა უშავს, თითო კონიაკი გადავკრათ — გაივლის...

შოფერმა ძრავს სარქველი ახადა და ჩხრეკა დაუწყო. ალფეზმა სანადირო აბგა გადმოიღო მანქანიდან და მგზავრებმა ნელი ნაბიჯით მიაშურეს თეთრ დუქანს. მათ მიახლოვებაზე ნაგაზმა ჯაჭვი დასჭიმა, ხრიალით გამოიწია აცმუკებულ მეძებრებისკენ, მაგრამ ხმაურზე ფარაჯაწამოსხმული კაცი გამოეგებათ ფუნდუკიდან, ანჩხლი მასპინძელი ჯაჭვით გვერდზე გაათრია და ორივე

*) იხ. „ჩვენი თაობა" № 4 და 5.

ხელით იჭერდა, სანამ მგზავრები ფუნდუკში შევიდოდნენ, თორემ სეტერებთან მისი გაცნობა მშვიდობიანად არ ჩაივლიდა.

ფუნდუკში არც თუ მყუდროება იგრძნობოდა და არც სისუფთავე იყო. სიცივიდან შემოსულ კაცზე მაინც დამამშვიდებლად მოქმედებდნენ კარდახშული შენობის სითბო, კვამლისა და თევზის სუნი და ლიფლიფის სუსტი სინათლე. კუთხეებში ბინდბუნდი იდგა და მაგიდების ქვეშ თითქო ნისლი ტრიალებდა. ერთ ბოლოში ქურქებში ჩაცმული პრიუტელი რუსები საუზმობდნენ. იქვე, დახლის უკან, ღვინის ბოთლებით სავსე თაროებისა და ოქროსფერი ტარნის მძივების ფონზე წყნარად სთვლემდა სახელაჟღაჟა ღიპიანი კაცი, ტიპიური მიკიტანი. იგი ქაღალდის საგერებლით აუჩქარებლად იცილებდა თავიდან მსხვილ, ჩასუქებულ ბუზებს, რომლებიც ქონიანი ფეხებით დაღოღავდნენ ნამცეცებით სავსე დახლზე და ჭერზე დაკიდულ, გამურული ლიფლიფის ირგვლივ დაფრინავდნენ ზანტი ზუზუნით. ადრე გაზაფხული იყო — გარეთ ბუზს ჯერ წამლად ვერსად იპოვნიდი, მაგრამ შარშანდელებს აქ, სითბოში, თავშესაფარი მოენახათ და ზამთრის სუსხს გადარჩენილიყვნენ. თეთრად შეფეთქილი კედლები და ღვინის ეტიკეტები შავი წერტილებით აეჭრელებიათ ამ ბუზებს; ფანჯრებშუა გაკრულ ანტირელიგიური შინაარსის პლაკატსაც კი რუხყვითელი ფერი დაჰკრავდა ძველი საეკლესიო ეტრატივით. ხანშესულობისგან წონასწორობადაკარგული მწერები ზოგჯერ იატაკზე მოადენდნენ ხოლმე ზღართანს და დიდხანს ფართხალებდნენ გულაღმა.

დახლის გვერდით, ნახევრადღია კარში ფარდაგადაფენილი ტახტის კუთხე მოსჩანდა, იქით უთუოდ მეფუნდუკის საცხოვრებელი ბინა იყო. ღიპიანმა ალფეზი იცნო და ფეხზე წამოხტა, ორთავენი გულთბილად მიესალმნენ ერთმანეთს.

— ამ წუთში მწვადს მოგართმევთ, წუხანდელი დაკლულია... — აფუსფუსდა ღიპიანი, — მეცხვარეებმა ჩაიარეს და ბატკანი დავატოვებინე...

— არა, ჩვენ ცოტა რამ თანა გვაქვს წამოღებული, ისიც გვეყოფა, სხვა როგორა ხარ, საქო.. — ამ კაცს სახელიც შესაფერი ჰქონდა.

— რას ვიზამ, ალფეზ-ჯან, ვწვალობ...

მგზავრები მაგიდას შემოუსხდნენ. წინსაფრიანმა, წელან ნაგაზი რომ მოაშორათ, ახალი სუფრა მოარბენინა. ისიც ნაცნობივით უღიმოდა ჩიქოვანს. ალფეზმა სანადირო აბგიდან კონიაკი, ხიზილალა და „მონადირული ძეხვები" ამოალაგა.

— თქვენ თუ იცით, გიორგი, ვინ არის ეს საქო?..—უთხრა ალფეზმა სათვალეებიანს. ჯონქას გაუკვირდა — შენიშნული ჰქონდა, რომ ალფეზი საერთოდ ყველას შენობით მიმართავდა ხოლმე.

— ჭიქები მოიტათ, — დაიძახა ალფეზმა დახლისკენ, — უწინ მდიდარ კაცად ითვლებოდა, ტფილისის ერთერთ საუკეთესო რესტორანისა და სასტუმროს პატრონი იყო. ბოლო დროს პატარა სამწვადე დუქანი ღა შერჩა რიყეზე. მაგრამ ისიც აზიისათვის შეუფერებელმა კულინარიამ დაუღუპა... — ჩიქოვანმა ხმამაღლა გაიცინა, მისი თეთრი მსხვილი კბილები მტაცებელი ცხოველის პირს მოგაგონებდა უნებურად, — წარმოიდგინეთ, — განაგრძო მან — ძაღლის ლეკვებს ასაღებდა თურმე ბატკნის მწვადად, ეგ ყურუმსაღი, ორთავეს ერთნაირად სათუთი ხორცი აქვთ, — ძნელი გასარჩევია.

სათვალეებიანი უთუოდ გულზიზღი არ უნდა ყოფილიყო, მადიანად ილუკმებოდა. ალფეზმა კონიაკი დაასხა და მეძებრებს პურის ნაჭრები მიუყარა.

— დალიე, ფშაველო. სად დაიკარგე, ყინჩო, რად არ მნახულობ ხოლმე. შინიდან რა ამბავი მოგდის?

— მშვიდობა.

— საქმე მქონდა შენთან, კარგია გნახე...

— რა საქმე, ძია ალფეზ?

— გაიგებ. შენ რა დარგზე სწავლობ?

— ისტორიის ფაკულტეტზე.

— ისტორიკოსი გამოხვალ? იმ მღებავივით ხომ არ მოგდის — თავისთავს მხატვარს რომ ეძახდა. მოკლედ, მასწავლებელი იქნები, არა?

— რა ვიცი...

— ისევ ფშავში გაგისტუმრებს განსახკომი.

ჯონქას დაცინვა მოეჩვენა ალფეზის სიტყვებში და გული ეტკინა, — მას ძლიერ უყვარდა ეს კაცი და თავისიანადაც ჰყავდა მიჩნეული.

— რატომ უფრო მაღლა არ უმიზნებ, ბიჭო? — სთქვა ალფეზმა, — ნიჭი გაკლია თუ ვაჟკაცობა.

სათვალეებიანმა ჩაიცინა, თითქოს არც მაინცდამაინც ყოფილიყოს დარწმუნებული ჯონქას უნარში. ხორნაულს მადა დაეკარგა.

— მე ეს დარგი მაინტერესებდა, — დამნაშავესავით სთქვა მან, — იქნებ ასპირანტურაში დავრჩე...

— ისტორია ხომ მართლა მეცნიერება არ არის, რომ... — სათვალეებიანმა ხიზილალა წასმული პური ჩაკბიჩა, — რომ მისთვის ღირდეს ასპირანტობა, მერე დოქტორობა და ასე ამგვარად მტვრიან ქაღალდებში ქექვით სიცოცხლის შეწირვა. — მან ხელით მოიშორა სახეზე მიწებებული აბეზარა ბუზი. — ისტორია, — ეს არის ზღაპრების თხრობა და რაც მთავარია, ისე უნდა მოჰყვე, როგორც გიბრძანებენ. ანალებიც კი არ დაუწერიათ უტენდენციოდ.

სათვალეებიანმა განსაკუთრებული მანერით მოსვა კონიაკი, თითქო გრძელი ლექციის შემდეგ ყელს ისველებდა. ჯონქა არ მოელოდა ასეთი ტონით გამოსაუბრებას ამ უცნობი კაცისაგან და გაოცებულმა სულ მთლად დაანება თავი ძეხვის ჭამას.

— წინათ ისტორია მეფეების ბიოგრაფია იყო, — განაგრძო სათვალეებიანმა, — მთელ თაობებს ისტორია არწმუნებდა, რომ რომანოვებმა რუსეთს ბედნიერება მოუტანეს. ეს თაობები ამ რწმენით იხოცებოდნენ. ახლა ისტორია პირიქით გვასწავლის. ვინ იცის — კატილინა უფრო მშერმეტყველი იყო თუ ციცერონი? კატილინას ნაწერები გაანადგურეს, ხოლო ციცერონს სკოლებში ასწავლიდნენ.

იგი ისე გადაჭრით ლაპარაკობდა, რომ ჯონქამ უზრდელობად ჩასთვალა შეკამათება. სათვალეებიანი ისევ ხიზილალას მიეძალა. ჯონქა მოელოდა, რომ იგი კვლავ ალაპარაკდებოდა და მაშინ მაინც მიეცემოდა საშუალება თავისი აზრი გამოეთქვა, მაგრამ საუზმემ დუმილში გაიარა, მხოლოდ ძაღლები ულრენდნენ ერთმანეთს სადაო პურის ნაჭრისთვის მაგიდის ქვეშ.

ის იყო შენაყრდნენ მგზავრები, რომ გარედან მანქანის გუგუნი მოისმა, ავტო ფუნდუკთან გაჩერდა და ორჯერ აახმაურა საყვირი. ცოტახანს შემდეგ

წინსაფრიანი კაცი შემოვიდა გარედან, რაღაც წასჩურჩულა ალფეზს და ისევ უკან გაბრუნდა.

— შენ აქ იყავი. ძაღლები გარეთ არ გამოუშვა, თორემ ნაგაზთან იჩხუბებენ,—უთხრა ჯონქას ჩიქოვანმა და სათვალეებიანთან ერთად მეორე ოთახში გავიდა. სეტერები უკან გამოუდგნენ პატრონს, მაგრამ ჯონქამ ორთავეს საყელოში ჩასჭიდა ხელები. წინსაფრიანი ვიღაც მაღალ ლურჯპალტოიან კაცს შემოუძღვა და მეორე ოთახში გაიყვანა. მათ უკან შემოჰყვათ შეკივნული, ბენზინის სუნით გაჟღენთილი, შავგვრემანი შოფერი. ჯონქამ შოფერს კონიაკი დაუსხა, მაგრამ სანამ ჭიქას გაუვსებდა — მსუქანი, მწვანეთვალება ბუზი ჩავარდა შიგ და ისეთი ბზუილი მორთო, რომ ძაღლებმა ყურები სცქვიტეს. შოფერი გულწრფელად გააოცა მწერის სიდიდემ.

— ვაჰ, ერთი ნახე — ბელურას ტოლაა! ძიაჯან, ბუზების ფერმა გქონიათ? ძმაკაცურად დედალ-მამალი მომყიდე, ქალაქში წავიყვანო სანაშენოდ...

იგი საერთოდ ენაწყლიანი გამოდგა; თითო ძეხვს ორლუკმად ათავებდა და თან ჯონქას სულმოუთქმელად, სხაპასხუპით აყრიდა კითხვებს; მანამ არ მოისვენა, სანამ დაწვრილებით გამოჰკითხავდა წუხელ სად იყო ისე გვიან და ჩიქოვანს რამდენი ხანია იცნობდა ჯონქას მამა ლუკა ხორნაული. ბოლოს თავისი გამჭრიახი, სწრაფი თვალები მოსაუბრის მკერდს მოავლო და ღიმილით უთხრა:

— ეგ ყელსახვევი მოიხსენი, ძმავ, ნადირობის დროს ჯაგებში არსად დაება...

ჯონქას მხოლოდ ახლა მოაგონდა თავისი მორთულობა, გვერდზე მოღრეცილი ყელსახვევი მოიხსნა და უბის ჯიბეში შეინახა, თუმცა კი ენანებოდა — გაჭირვებით ჰქონდა დაუთოვებული. მალე ფუნდუკში ახალმოსული მანქანის შოფერიც შემოვიდა. შავგვრემანი კოლეგა ახლა იმას შეუჩნდა, გამოჰკითხა — საიდან მოდიოდა, და ვინ მოჰყავდა. რომელიღაც პასუხისმგებელი მუშაკი ბრუნდებოდა თურმე ბეთანიის დასასვენებელ სახლიდან. ახალმოსული უკმაყოფილო იყო,—შუაღამისას გამაღვიძა — ქალაქს მეჩქარებაო და ამ თეთრ დუქანთან კი რახანია ვუცდი, ნაცნობებთან მასლაათს აღარ ათავებსო. შავგვრემანმა კონიაკი დაუსხა, ახალმოსულმა გადაჰკრა და კოჯრის გზას დაუწყო გინება, ისეა დაკლაკნილი, ცოტა დალეული თუ ხარ, კისერს მოგატეხინებსო. შავგვრემანი მცხეთისას აქებდა — მთვრალი წამოსულა იქიდან, გზაზე ჩასძინებია საჭეზე დაყრდნობილს და თითონაც უკვირდა, მაგრამ ირწმუნებოდა, რომ მხოლოდ საბურთალოში გაიღვიძა მილიციონერმა. ახალმოსულმა ტყაპუჭიან მეურმე რუსებისკენ გაიხედა და მათაც შეუკურთხა, თუმცა ქართულად, — ხარები და ცხენები შეეჩვივნენ ავტომანქანებს და ამ გლეხებს კი არაფერი ეშველათ, ისე დაფრთხებიან ხოლმე, — შენ თუ გვერდი აუხვიე, თითონ მაინც დაგაჯახებენ ურემსო.

ბუზები ისევ ზუზუნებდნენ შებოლილი ლიფლიფის ირგვლივ და არაქათგამოლეულები ეცემოდნენ დახლზე, საიდანაც მათ ქაღალდის საგერებლით ხვეტდა მთვლემარე საქო. ჯონქას მობეზრდა შოფრების ლაყბობა; წელანდელ წყენას ჯერ კიდევ არ გაევლო, თანაც თავი ისევ დაუმძიმდა კარდახშულ ოთახში და გადასწყვიტა გარეთ გასულიყო. კიბეზე ჩამავალს წინსაფრიანი კაცი შეეჩეხა, ჯონქას ეცნაურა მისი ნაყვავილარი სახე, მაგრამ თავს ძალა აღარ დაატანა, მოეგონებია, თუ სად ჰყავდა ნახული. გარეთ ისევ ბურუსი

იდგა, თუმც სინათლე მომატებულიყო, — მზე უთუოდ ამოვიდა, მაგრამ ცა ირგვლივ მძიმე, რუხი ღრუბლებით იყო დაფარული და სხივი ვერსად ატანდა. ეზოში ჩამწკრივებული, ცხენგამოხსნილი ოთხთვალა ურმები, გრძელი ხელნებით, ბინდბუნდში ვეებერთელა, კისერწაგრძელებულ პალეონტოლოგიურ ჯოჯოებსა ჰგავდნენ; ისინი თითქო ახლო გორაკზე შავად მომდგარ ტყიდან წამოპაროდნენ ფუნდუკს. რაღაც ცივი, პირველყოფილი სისასტიკის ელფერი ჰქონდა თრიალეთის ამ ღრუბლიან განთიადს.

ხორნაული შარაზე გამოვიდა. გზის მეორე მხარეს მიხაკისფერი მსუბუქი მანქანა იდგა ჩიქოვანის შავი მანქანის პირდაპირ. იქვე, ნეხვის გროვასთან ბეღურები ჟივჟივებდნენ. ჯონქას ვერ დაევიწყებინა ალფეზის გადაკრული სიტყვები და ჩაფიქრებული შეუდგა გზაზე ბოლთის ცემას. იგი ბავშვობიდანვე დიდი სიმპატიით იყო გამსჭვალული ამ ყოჩაღ, მუდამ ენერგიით სავსე, ახლა უკვე ორმოც წელს გადაცილებულ, მაგრამ მაინც ჭაბუკივით მარდ და ხალისიანი კაცისადმი. ალფეზი ყველასთან შინაურად გრძნობდა თავს, ყველას იცნობდა, ყველაფერს ასწრებდა. როცა მთაში ლუკასთან ამოვიდოდა ხოლმე სანადიროდ, ღამით, ტყეში დანთებულ კოცონთან ან ბუხრის პირას, მოჰყვებოდა ცისას და ბარისას. მას გატაცებით უყვარდა ნადირობა. ციმბირში გადასახლებულს ბრტყელრქიან დომბეგზეც უნადირნია თურმე, სამი ოთხი დღე უდევნია თხილამურებით ცხენის სიმაღლე და ხარის სისქე ვაცისთვის. სასტიკ ზამთარში, ღრმად გაყინულ თოვლიდან ცხენ-ირემი ხავსს ჩლიქით ვეღარ სთხრიდა და ხის ქერქის ანაბარად დარჩენილს ბოლოს მუხლი მოსჭრია, სასიკვდილოდ დაჭრილი შებრძოლებია გათამამებულ მონადირეს. ალფეზი ისე ცოცხლად მოჰყვებოდა ტანმორჩილ არყის ხეებშორის თხილამურებით გაჭედილ მონადირისა და სასოწარკვეთილ ცხოველის შეტაკებას, რომ ჯონქას ახლაც წინ დაუდგა თვალებსისხლიანი, ბორჯღლი და წვეტიანი რქებით წამოსული, ტკივილისაგან გაშმაგებული ვაცი. დომბამ წააქცია თხილამურებით შებორკილი მონადირე და უთუოდ გასრესდა ძარღვიანი ტორის ერთი დარტყმით, მაგრამ კაცმა იმარჯვა, ნადირის ოფლიანი მუცლის ქვეშ ჩაჩოქილმა იღლიაში ჩასცა გრძელპირა დანა. პირველად ამ ამბის მოსმენის შემდეგ, დაებადა პატარა ბიჭს თაყვანისცემამდე მისული გრძნობა ყველასაგან პატივცემულ ქალაქელი ძიასადმი. ნადირობის ამბებს კიდევ სხვას გადააბამდა ალფეზი, — ცარიზმის დროს არალეგალური მუშაობის ეპიზოდები, გადასახლებიდან გაქცევა, ემიგრაცია. კვამლისგან თვალებდაწვრილებული ჯონქა სულგანაბული უგდებდა ხოლმე ყურს მის საოცარ თავგადასავლებს და ოცნებობდა ოდესმე თითონაც ასევე ბევრი ენახა და განეცადა. სმენადქცეულს ავიწყდებოდა, რომ ცეცხლთან ახლო იჯდა. ხმელი ფიჩხი ტკრციალით ისროდა ჩინჩხვრებს და ბიჭს ხან ნაბდის კალთა აუბოლდებოდა, ხან ცხვრის ქუდი, ხან პაჭიჭები.

მაგრამ შემდეგ ბიჭი წამოიზარდა და სხვა ინტერესიც გაუჩნდა. ნადირობითა და ხიფათით ვეღარ გააკვირებდი ფშაველი მონადირის შვილს, მამა მის ლუკასაც ამბავი არ გამოელეოდა, გინდ ღამისთევა ყოფილიყო. ახალგაზრდა ფშაველს ალფეზის ნაამბობში ახლა უკვე სულ სხვა რამ იტაცებდა, — ფშაველი გმირები მეზობელ სოფლიდან იყვნენ და ერთი დღის სავალზე ჩადიოდნენ გმირობას ციცაბო ჭიუხებზე, მწვანე იალაღებზე ან ივრის ჭალებში. ვიწრო ხეობის გალმა-გამოლმა მცხოვრები ქისტები და ხევსურებიც ამ ნაცნობი სამყაროთი იყვნენ შემოფარგლულნი.

ბარიდან მოსული სტუმარი კი მსოფლიოს მოქალაქე იყო. გარშემო მხოლოდ მთები მოსჩანდნენ. სულ მთები, საითაც არ გაიხედავდი. ზვიადი, თოვლიანი მწვერვალები, მუდამ ნისლით შებურვილნი, მათ ძირში დაკლაკნილ მდინარეების პირას, ნაბდის ოდენა მიწაზე შეხიზნულ პატარა სოფლებს ეს მთები ზოგჯერ მზესაც არ აჩვენებდნენ ხეირიანად. ერთი ისეთი სოფელიც იყო თურმე პირიქით ხევსურეთში, სადაც მზე უფრო გვიან ამოდიოდა და ადრე ჩადიოდა, ვიდრე სხვაგან, მთელ ქვეყანაზე—მაჯლაჯუნებივით შემორტყმოდნენ გარშემო ვეებერთელა, პირქუში მთები და ხეობას უბნელებდნენ.

ჯონქას ამ მყინვარებს იქით მიუწევდა გული. მარად თოვლიან მთებს გადაღმა, თვალუწვდენ ვაკეზე მზიანი ქვეყანა ეგულებოდა; ქალაქები, მრავალსართულიანი, წოწოლაგუმბათიანი შენობებით; ლურჯი ზღვები, მაღალანძიანი ხომალდები. კაცის თვალი ხარბია. მას უნდოდა მთელი ქვეყანა ენახა, ყველაფერი სცოდნოდა. მას სურდა გამხდარიყო მსოფლიოს მოქალაქე. ალფეზი გრძელ საუბარს გაუმართავდა ხოლმე ჯონქას და ისედაც სწავლას მოწყურებულ ყმაწვილს კიდევ უფრო მეტად ახელებდა, ურჩევდა უსათუოდ წასულიყო ქალაქს უმაღლესი განათლების მისაღებად.

ფუნდუკის სარკმლიდან გამომკრთალი შუქი ვიწრო და ნათელ ზოლად შეჭრილიყო ბურუსში პროჟექტორის სხივივით. ჯონქა ამ ზოლთან შედგა და გაიფიქრა, რომ ალფეზს უთუოდ ახლაც კარგი სურდა მისთვის და მიტომაც აუთვალისწუნა მომავალი პროფესია — რატომ უფრო მაღლა არ უმიზნებს.

ჯონქამ ღრმად შეისუნთქა ნისლიანი, ცივი ორთქლით გაჟღენთილი ჰაერი. მოაგონდა ციცინოს ნათქვამი — დიაღ, მანანა სხვებისგან გამოირჩევა. და რითი განსხვავდება თითონ — ჯონქა ხორნაული, ათას სხვა ახალგაზრდისგან, რომ მანანამ მეგობრად გაიხადოს? რატომ უფრო მაღლა არ უმიზნებს! ალფეზმა მტკივნეული ადგილი უპოვნა. განა თითონ არ უნდა უფრო მაღლა. უფრო მაღლა, ეს ნიშნავს — უფრო ახლო მანანასთან. ჯონქას უკვე ველარ წარმოედგინა, რომ რამდენიმე თვის შემდეგ ისევ ფშავში უნდა დაბრუნებულიყო მასწავლებლად. უფრო მაღლა. მეტი რა შეეძლო, სწავლობდა და კარგადაც სწავლობდა. სამი-ოთხი წელიწადია წიგნებს გადაჰყვა ჩაგუსავით. მაგრამ ეს უთუოდ არ იყო საკმარისი. ჯონქას მოაგონდა როგორ ჩაიცინა წელან სათვალეებიანმა, თითქო ნაკლებ ყოფილიყოს დარწმუნებული ჯონქას უნარში და ბრაზი მოერია. რა იცის, იქნებ ჯონქა გენიოსია. ერთი შეხედვით შეატყო? თანაც ისტორიას დაუწყო გაბითურება. იდიოტი. რა ადვილად მსჯელობს ეს ხალხი — ნიჭი, ვაჟკაცობა, იქნებ ჰგონიათ სამეცნიერო შრომის დაწერა პარაშუტით გადმოხტომას ნიშნავდეს, ერთი გაბედე, დახუჭე თვალები და ისკუპე. ალფეზს ხომ კარგად ესმის ყველაფერი. მაშ რაღა ალაპარაკებს? უფრო მაღლა! ჯონქამ უეცრად მაინც პატარა, უმნიშვნელო კაცუნად იგრძნო თავი მიუხედავად ასეთი არგუმენტებისა. მართლაც და მას არავითარი განსაკუთრებული პრესპექტივა არა აქვს, საერთოდ არაფერი განსაკუთრებული. ზოგ თავის ამხანაგებთან შედარებით მეტ ცოდნას თუ იჩენს, ეს მხოლოდ, იმიტომ, რომ უფრო მეტ ხანს იჯდა ხოლმე საჯარო ბიბლიოთეკაში და ესეც ალბათ იმით აიხსნება, რომ არ იცოდა სხვაგან სად წასულიყო. უქმი დრო როგორ გაეტარებია. დიაღ, ის ჩვეულებრივი პატარა ადამიანია, რომელსაც ძლიერ ბუნდოვანი ზრახვანი აქვს და არც თუ დიდი ნიჭი.

ჯონქამ ასეთი რამ პირველად გაიფიქრა თავისთავზე და ეს ფიქრი საშინლად დამამცირებელი იყო. მარტო სულიერი სიცალიერე კი არ უგრძვნია, — თითქო ტანიც შეუმსუბუქდა, ჩია კაცი გახდა და შუბლიც დაუპატარავდა, სახემ მოსულელო გამომეტყველება მიიღო.

იქნებ ისიც დავით ციხისელის მიერ დახასიათებულ ახალგაზრდათა კატეგორიას ეკუთვნის?

ნიავმა დაჰბერა და ბურუსმაც იმატა. შარაგზა ფუნდუკის ცოტა მოშორებით იკარგებოდა ბურუსში; ნისლი ტალღებად ეცლებოდა მიდამოს, სინესტეს ავრცელებდა და ჯონქას მოეჩვენა, ვითომ ზღვა ყოფილიყოს მახლობლად, სქელი, გაუმჭვირვალ ბურუსით მოცული და გაყუჩებული. ჯონქამ საყელო აიწია და წუხელ, აივნიდან მოსმენილი საუბარი გაიხსენა. კარებთან ბოლოს, რაღაც მისთვის გაუგებარზე ლაპარაკობდნენ. დავითმა სთქვა, რომ ლაზიშვილის ავტორიტეტით არის დაინტერესებული. ეს ალბათ ჩვეულებრივი ინტრიგა იყო, დაჯგუფება პროფესორებს შორის, უნივერსიტეტში ასეთი რამ უწინ ხშირად ხდებოდა. ხოლმე. გულწრფელად საბჭოთა პროფესორობაზე ლაპარაკი რაღას ნიშნავდა? ორიოდე წლის წინ ეგრედწოდებულ წითელ პროფესორებსა და ზოგიერთ ძველებს გამუდმებით ჰქონდათ პატარა და პრინციპული უთანხმოებანი. იქნებ ციხისელი ახლაც ვინმე პარტიელს ებრძოდა და მომხრეებს აგროვებდა. შეიძლება. ნეტავ მანანა თუ იზიარებს მამამისის შეხედულებებს.

ჯონქას თვალწინ დაუდგა მანანას ღიმილი და წამით თითონაც გაღიმებული მიაბიჯებდა მოჭირხლულ, ბურუსიან შარაზე. ტყუილად გაუჯავრდა გუშინ უყურადღებობისათვის, გვერდზე ხომ არ მოისვამდა თამადასთან. ოჰ, ის თამადა...

ჯონქა შეეცადა თავიდან მოეშორებია უსიამოვნო მოგონება და ისევ აივანზე მოსმენილ საუბარს დაუბრუნდა.

იგი ხომ წინათაც გრძნობდა, თუ რა აზრისა იყო ეს შთამომავლობითი ინტელიგენცია. რასაკვირველია, იმათ თვალში ჯონქა სულ მთლად არარაობას წარმოადგენს. კულტურა, სრულყოფილი ადამიანი. ხალასი ნიჭის პატრონი მაინც უნდა იყო, რათა დანარჩენი ფეპატიოს. ვთქვათ — გაიმარჯვა საასპირანტო კონკურსში, შემდეგ? ათეული წლის განმავლობაში ჩუმი, თავაუღებელი მუშაობა, წიგნის ჭიად ქცევა. და იქნებ, ისიც იქნებ, — ახალი სიტყვა სთქვა. მანამდე კი პატარა კაცუნა ხარ. მაშ რა გზას უნდა დაადგე?

ჯონქამ უნებურად ასწია თავი და შარაგზას გახედა. ნისლი ბამბის ვეებერთელა ფთილებივით გადადიოდა შარაზე, დროდადრო წყდებოდა და ქარისგან ატივტივებული ედებოდა ხის კენწეროებს, იხლართებოდა ტოტებში, ზევით მიიწევდა და ღრუბლებს უერთდებოდა. თითქოს გაპენტილი, ნაგლეჯებად ქცეული ფოშფოში ხან ბუმბერაზ ცხვარივით გადააბოტებდა შარაზე და ბექობს მიეფარებოდა, ხან ქარისგან ატაცებულ ზეწარივით წაგრძელებული გასცურავდა, ან სახლისოდენა თეთრ ბოხჩას გადააჩოჩებდა უხილავი ხელი. ზოგჯერ კიდევ ზედიზედ ნასროლი თოფის კვამლივით მოდიოდა ბოლქვებად.

ჯონქა მიაჩერდა ნისლის თამაშს და თანდათან ფიქრი დაეკარგა, უფორმო და ბუნდოვანი, ხელშეუხები გაუხდა ამ ვრილი ბურუსივით. ადამიანის თვალი ვერ უძლებს ნისლის მოძრაობას, ზღვის ლივლივს ან მოწმენდილ ცაზე მოციმციმე ვარსკვლავებს, — აზრი ეფანტება, მშფოთვარე გონება უყურადება; იქნებ

ქვეშეცნებითა გრძნობს რაღაც მარადიულს, უსასრულობას უერთდება და ამშვიდდება.

ნისლის ტალღამაც თანდათან გადაიარა და კრამიტიან სახურავზე მკაფიოდ გამოჩნდა გაჭვარტლული საკვამური. მტრედისფერი ბოლი თითქო შავწვეროსან კაცის თავს ეხვევოდა ყაბალახივით.

პრიუტელმა რუსებმა თავლიდან ცხენები გამოიყვანეს და ურმებში შებმას შეუდგნენ. ბომბორა ნაგაზი ისევ აყეფდა, ნაღვინევივით ხმაჩახლეჩილი.

ჯონქა ფუნდუკში შებრუნდა. შოფრებს კონიაკი გაეანახევრებიათ და ახლა ბეთანიიდან მოსულს ასტყდომოდა ენის ქავილი, ზუსტად უამბობდა კოლეგას, თუ სად დადის მისი უფროსი, ვისა ჰყვაროობს და დღეში რამდენჯერა სჭამს. შავგვრემანიც დიდის გულმოდგინებით უსმენდა.

ჯონქამ მოწყენით გაიარა დახლის წინ და ბოთლებით სავსე თაროები შეათვალიერა. ბუზები გამოცოცხლებულიყვნენ, უთუოდ განთიადი იგრძნეს, განუწყვეტელი ზუზუნი იდგა. ერთი ლიფლიფის შუშაში მოხვედრილიყო, თავგამეტებით ეხეთქებოდა მინას და გულის გამაწყალებლად წუოდა ფრთებდამწვარი.

— რამდენი ბუზია, — სთქვა ჯონქამ უსაქმობით. საქმე დამძიმებული ქუთუთოები ასწია და უაზროდ შეხედა ხორნაულს, თითქო ძილში შემოესმა მისი ხმა.

— ჰამე?

— ბევრი ბუზია მეთქი — გაიმეორა ჯონქამ.

— ბუზიო? ხალხი უფრო მეტია. ბუზებს რა უშავთ, ერთი ავდარი და სულ ეუჟი გაერევათ, — საქმე ქაღალდის საგერებელი ჩამოუსვა ოქროსფერ ტარნების მძივს, — ხალხი გამრავლდა, შვილო, ხალხი უფრო აწუხებს ერთმანეთს.

„ესეც ფილოსოფოსობს", —გაიფიქრა ჯონქამ, — „დღეს რა მარცხენა ფეხზე ავმდგარვარ"! მერე მოაგონდა, რომ წუხელ სულაც არ დაწოლილა, მანქანაში ჩასთვლიმა მხოლოდ, შუბლზე ხელი გადაისვა და დაამთქნარა.

— ნეტავ ტყის ქათმებმა თუ დაიწყეს ჯერ გადაფრენა? — იკითხა ჯონქამ.

— რა ვიცი, მე ყვავის მეტს სხვა ჩიტს ვერა ვცნობ. ოღონდ ეგ არის საკვირველი, — აქეთ მხარეს სხვა ჩიტი ბევრია, ყვავები კი არ მინახავს. სააგარაკო ადგილია და არ ვიცი ყვავი რისთვის იწუნებს.

„რა ძალიან დაინტერესებულა ყვავებით"... გაიფიქრა ჯონქამ და უეცრად მოაგონდა ალფეზის ნათქვამი, რომ ერთ დროს საქო ძაღლის ლეკვებს ასაღებდა თურმე ბატკნის მწვადად. იქნებ ახლაც ყვავი უნდოდა ქათმის საცივად მიერთმია მუშტრებისთვის. ჯონქამ მოურიდებლად გადააფურთხა იატაკზე. აკი სთქვა — ხალხი მეტისმეტად გამრავლდაო, და ყველას ხომ ქათამი არ ერგება, ზოგმა ყვავიც იგემოს.

მეორე ოთახში როგორც იქნა დამთავრდა საუბარი. ლურჯპალტოიანი წავიდა თავის შოფერთან ერთად და ალფეზი და გიორგი სუფრას დაუბრუნდნენ.

— დროა ჩვენც ავიბარგოთ, — სთქვა ალფეზმა, იგი გამხიარულებული ჩანდა, თვალები უბრწყინავდნენ. ფეხზე მდგომმა ზედიზედ გადაჰკრა კონიაკი, და ჭიქა მიუჯახუნა სათვალებიანს.

— მოდი, საქო, ერთი ჭიქა დაგვილიე, — დაუძახა მან მეფუნდუკეს,— შენი ამხანაგიც მოვიდეს.

შოფერმა საქოსა და მისი თანაშემწისთვის ჭიქები აავსო და დარჩენილ კონიაკს სინანულით გაჰხედა სინათლეზე. წინსაფრიანი მოკრძალებით, თავის დაკვრით მიუახლოვდა მაგიდას; ჯონქამ ისევ გაიფიქრა, რომ ეს სახენაყვავილარი, მელოტი კაცი სადღაც ჰყავდა ნახული. ალფეზმა წინსაფრიანს ფული ჩაუდო ხელში და იგი ტუჩების ცმაცუნით აკანტურებდა მელოტ თავს, ალბათ მადლობას ეუბნებოდა, მაგრამ ისე ჩუმად, რომ არაფერი ისმოდა.

საქოც გამობაჯბაჯდა დახლიდან, მოკლედ დაილოცა და წინსაფრიანს ჭიქა მიუჯახუნა, მაგრამ სწორედ ამ დროს შავი, ბანჯგვლიანი ბუზი ჩაუვარდა სასმისში. საქომ თავისი კოტიტი, ფრჩხილჩაშავებული თითი მოურია კონიაკში, აფართხალებული ბუზი დაიჭირა და იატაკზე დაანარცხა.

ბუზი მაინც ცოცხალი გადარჩა, ფრთებდაშვებული, ბოლოათრეული წავიდა ცოცვით, უკან სველ კვალსა სტოვებდა მტვრიან იატაკზე.

კარში გამოსულმა ჯონქამ ღიმილით გაიფიქრა, რომ ამ შარშანდელ ბუზებს რაღაც საერთო ჰქონდათ უკანასკნელ, ცოცხალ მიკიტანთან.

გაგრძელება იქნება

ვლადიმერ სულაბერიძე

მარადი ქოხის ამშენებელი

ვინ ააშენა, ვინ დაჰხურა ამ ქოხს ყავარი?!
ვინ შეუყენა საძირკველი გაუღუნარი?!
სად გაელია ცხოვრების გზა ტანჯვით სავალი?!
სად ჩაეჩეხა გაფრენილი შავი ქურანი?!..
ვინ გამოთალა? ვინ გარანდა მუხის ფიცარი?!
ეს ელვარება ჩაუქროობი ვინ დააფინა?!...
ვინ ააშენა?... იგი ქოხი დაუვიწყარი
ვინ დაულოცა ღარიბ კაცს ბინად?!
იცოდა მაშინ, რომ ეს ქოხი უბრალო ასე
იმ ბნელ ღამეში ჩააშენა ახალ ქვეყანად?
იცოდა მაშინ, იმ ქოხიდან მსოფლიოს ცაზე
ღარიბსვე უნდა ახალი მზე ამოეყვანა?
რომელ მშენებელს, რომელ ქვეყნის მოხელეს ბაძავს?
რომელ ოსტატებს გავუტოლო იგი დიადი?!
რომელ პირამიდს მოუცია, ან რომელ ტაძარს
ხალხის ბელადი და განთიადი?
მადლი მის გამჩენს, ძილისპირი რომ უგალობა,
მადლი მის გამჩენს, ბარაქიან მარჯვენას მისას!
მადლი იმ ოსტატს, — არწივების შთამომავლობას
პირველ საბუდრად ეს ქოხი მისცა.
არც ერთი ტაძრის, პირამიდის სიმაღლე არ აქვს,
არც თუ კედლებზე ბრჭყვიალებენ ქვები ფერადი,
არის უბრალო, ძლივს აჩნია ამ ქართულ ქალაქს
და მთელ ქვეყანას გაუზარდა დიდი ბელადი.

ელიზბარ უგილავა

უსათაურონი

*
* *

ტყვია და ფარი, ზღვა და ხმელეთი,
ზღვა და ხმელეთი, ტყვია და ფარი;
ომობდნენ ყოველ მოსახვევებში,
შეეღოთ აღთქმულ ქვეყნების კარი.

ასე ჰქონია ქარებთან შეხლა
ამ ჩემს ქვეყანას დიდი ხნის წინათ,
ჩადგნენ ქარები და, ძმებო, ეხლა
მყუდრო მხარეში მომეცა ბინა.

დღეს სამშობლოზე სხვა რაღა გვეთქმის,
ვუთხრათ სიტყვები ცამდის მართალი,
ეს ჩემი ლექსიც სამშობლოს ერთვის
დიდი ფრიგალის შემდეგ ნათქვამი.

*
* *

სერებზე ბილიკი გადარბის, ხევს ჩასდევს მოქნეულ ხმალივით,
ვინ იცის, საიდან სანამდის მიდის და რამდენ მთას გადივლის!
იქნებ, გზას მოიკვლევს შორიდან და არის სისხლის ღვრის მნახველი,
იქნებ, აქ იმისთვის მოვიდა გვაუწყოს რბეულთა სახელი.
ან იქნებ, იმისთვის, გვეახლოს ჩვენი ხმა თაობებს გადასცეს.
ცოცხლები ვისაც არ ვენახოთ, გვიკითხოს ჟამთა სვლის ბარათზე.
წავიდეს, ცხრა მთა გადავლოს, ჩასდიოს შავეთსაც გულამდის,
მაგრამ არ ნახოს არსადროს ბიჭები ჩვენსავით გულადი!

ნინო რევაზიშვილი

სამგორი

ლეგენდა სამი სიყვარულისა

მე ხშირად ვმგზავრობ ამ ორთქლმავალით,
მოკლე ხნით მგზავრიც ბევრი მყოლია,
ავი და კარგი მათგან მრავალი
ძველი ამბავი გამიგონია.
აქვე მსმენია ბრმა მემუსიკე
„მთაო გადმიშვის“ როგორ მღეროდა,
გეგონებოდათ მას მთების იქით
საატრფოს ღალატი მართლა ელოდა.
აქ სახუმარო ამბით გვართობენ
ლაღი კახელი მოგზაურები,
არც მოწყენა და არც სიმარტოვე
არ განმიცდია მათი ყურებით.
ერთხელ, ამ ადგილს რომ მივატანეთ,
ჭალარა კაცმა გვანიშნა ხელით,
ვკითხრა: იმ გორებს, აგერ პატარებს
სამგორი ჰქვია, ძველი სახელი.
ამბობენ, თურმე ერთი მეცხვარე
აქ აძოვებდა ხშირად ცხვრის ფარას
და არც ბულბული და არც მერცხალი
მის სალამურმა არ გაიკარა.
მისი ჰანგები ტკბილი ესოდენ
მაშინ ესმოდა ივრის ჭალებსაც,
არვინ იცოდა რისთვის კვნესოდა,
ცრემლში ნაღველი რისთვის გალესა.
თურმე მიჯნური იჯდა მსაჯულად
და მის განაჩენს ორი ელოდა,
ორი ასული მისგან ტანჯულა
და სალამურზე მათ ბედს მღეროდა.
ერთხელ მოვიდა ორივ ქალწული
მოპირდაპირე შორეულ გზიდან.
ორივ დაღლილი და დაქანცული
ზიარ სატრფოს წინ ცრემლებსა ღვრიდა.

ჭაბუკმა ბევრი არ დაახანა
უთხრა: სწორ პასუხს ჩემგან თუ ელით,
გირჩევთ ამ წუთში როგორც ამხანაგთ,
საქმე გადაწყდეს თქვენი დუელით.
ორივ მეტოქე რომ დაითანხმა,
მიწის ნაკვეთი ფეხით გაზომა,
(სიჩუმე იყო, არსაიდან ხმა
ხელს არ უშლიდა ახალგაზრდობას).
ფეხით მოზომა ტოლი მანძილიც,
თვითვე იკისრა სეკუნდანტობაც,
ორთა შუაში ჩადგა ყმაწვილი,
დანიშნულ ადგილს ქალნი დატოვა.
სთქვა: გამორბენის მოგცემთ მე ნიშანს,
და ვინც წინ მოვა, მისი ვიქნები.
ამ მოულოდნელ განაჩენისა
თურმე სხვა იყო ბნელი ფიქრები...
მათ გამორბენის ნიშანი მისცა,
ცალმხრივ თვითონაც გადაიხარა,
რომ დააპირა მოწყვეტა მიწას,
ღალატით მანაც არ გაიხარა.
წამსვე გადიქცნენ სამნივ გორებად
და თანატოლი მანძილით დგანან.
თავზე ნიავი ეამბორებათ,
შორით იორი უმღერის ნანას...

ადამ ალვანელი

ჩემი მეამკიდრეობა

ვიწრო ბილიკით მოველ ბარიდან,
გადმოვიარე სამრულის წყალი,
ახლა აღმართზე მივიჩქარი, და
გასდევს ხეობებს მშიერი თვალი.
მოდის ბღავილი საჯიხვე მთიდან,
ქედებს ახურავთ მწვანე საბანი,
ჯანღი მოცურავს ბამბაზე წმინდა
დილის ცრემლებით გადანაბანი.
ეს ჭიუხებიც ფეხებთან ყრიან,
გული ზვიადი განცდით მევსება, —
ახავერდებულ მიდამოს ცვრიანს
ნიავი კოცნით ეალერსება.
გაღმა ნანგრევად მოჩანს ეთელტა, —
ნასოფლარს ხავსი ჰკიდია თმებად, —
წარსულ დიდებას აქეთ ვეძებ და
თვალი ქვიშიან ხევებზე წვება.
— ფრიალოებო, მიამბეთ რამე,
ჯიხვთა ბილიკებს თუ გადავურჩი, —
ნაბდად დამხურეთ თუშეთის ღამე,
ქვეშ დამიფინეთ ცვრიანი ქუჩი.
მთამ ჯანღი ფიქრად გადმომაყოლა,
ჯანღი ნაბარევ ბეჭებს დაუვლის, —
ამ ხეობიდან თურმე ჯოყოლას
გადაჰკიოდა გაფრინდაული.
იწვა მიდამო ცრემლად დამდნარი,
ნატყვიარ სოფელს სისხლი სდიოდა,
იწვა ხევებზე მკაცრი ზამთარი
და ვარსკვლავები ციდან ცვიოდა.
აქ იდგა კოშკი ყრუდ მოგუგუნე,
კონდახზე ენთო ვაჟკაცს თვალები,
ახმიანებდა ღამეს უკუნეთს
ტლდეზე დაკრული ცხენის ნალები.
აქ იყო მეთქი. — ჭირით სნეული,

აკლდამაში რო თითონ წვებოდა,
ცოცხალ აჩრდილად გადაქცეული
ძვლების გროვაში ტანჯვით კვდებოდა.
ბედს დასტიროდა შთენილი მარტოდ,
ოხვრა ეკიდა ნოტიო თაღებს...
მოსჩანს კლდეებში აკლდამა ფართო
და მდუმარე კარს დუმილით ვაღებ.
აი — შევდივარ წელში მოდრეკით
ძვირფას სახსოვარს სიპზე ვალაგებ,
ვინ იცის სად არ მოუკლავს ლეკი
ამ დაობებულ თითის ფალანგებს.
სად ჩასწვა გული, როგორც აბედი,
სად დაელეწა ხმალი შავტარა, —
ვინ ჩამოთვალოს დუხჭირი ბედი
დაგლეჯილ თექამ საით ატარა.

— ტყვიაზე მძიმე ბურანი გაწევთ,
ნაგერალებო გადასულ დროთა,
შხამით დაყურსულ ლამეებს ათევთ
და საუკუნო ძილშიაც შფოთავთ.
ოჯანისყვენეთ, მარად მდუმარი
მიწის კედელი გეხუროთ შავად,
მე აქ მოვსულვარ, როგორც სტუმარი
მემკვიდრეობის მოსაკითხავად.
თქვენ საუკუნეს სისხლითა სწერდით,
მაინც გინდოდათ მზეზე დარჩენა, —
რა მიანდერძეთ — ათასი ლმერთი,
ნაქოხარი და ლეკის მარჯვენა.
უკან წაიღეთ, ვიხსნი მხრებიდან
ცოდვებს, დღემდი რო წვალებით ვზიდეთ,
ლექსით გადავხან თქვენი გზები, და
ამქუხარებულ გულს დავეჭიდე.
გულს დავეჭიდე, რა ვუყოთ მერე,
თქვენს ნასისხლარში თუ მიდგას ძირი, —
ცხოვრებას ხანჯლით აღარა სწერენ,
აღარც დაღესტანს თარეშობს გმირი.
თქვენ გადახველით, მზიური დრო კი
ძარღვში მქუხარე სისხლად ჩადგება
და ნატყვიარით წაშლილი კოშკი
ამ დროში ვიღას გამოადგება.
ფარის ნალეწი კლდეებზე დარჩა,
აღარც ხატიდან ისმის ღრეობა.
ჩემი ეპოქა გადაშლის ფარჩად
თექაზე ნარწევ მემკვიდრეობას.
აწონილი მაქვს მყობადი მისხლით,
გრიგალს ფეხდაფეხ გავეკიდები,

თუ მოითხოვა სამშობლომ სისხლი
არც მის გაღებას დავერიდები.
ეს გულიც ქვეყნის თანაზიარი
მიჰკივის დღეებს არჩეულ გზიდან...
ფერდობზე მოსჩანს ქუჩი ცვრიანი,
ხევში ნამქერი — ბამბაზე წმინდა,
ფარტენა ჯანღებს ნიავი სინჯავს,
თან მინანქარის ნატეხს ადარებს,
ალაზანს დასცქერს სპეროზა დინჯად
და მოხუც მტკვართან ამბავს აბარებს.

მ. ი. ლერმონტოვი

სიმღერა

მეფე ივანე ვასილის-ძეზე, ახალგაზრდა ოპრიჩნიკ კირიბეევიჩსა და მამაც ვაჭარ კალაშნიკოვზე.

ჰეი შენ, მეფეო, ივანე ვასილის-ძე!
შენზედ ავაწყეთ, ავაღერეთ ჩვენ ეს სიმღერა,
შენსა საყვარელ, ოპრიჩნიკზედა
და მამაც ვაჭარ კალაშნიკოვზე.
ძველებურ ჰანგზე ჩვენ მოვმართეთ სიმღერა ჩვენი
და ვამღერებდით იმას ხშირად ფანდურის ხმაზე.
ვუწყობდით სიტყვებს და თქმულებებს მას ვუთანხმებდით
და ბოიარინმა თავად მათე რომოდანოვსკიმ
გვიბოძა თასი აქაფებულ თაფლით ავსილი.
მისმა მეუღლემ ბოიარინიამ პირმანგოსანმა
საკუთარ ხელით მოგვაწოდა ვერცხლის ლანგარზე
ჩვენ პირსახოცი აბრეშუმით ამოქარგული.
სამ დღეს, სამ ღამეს ჩვენ გვალხენდნენ, პატივსა გვცემდნენ
და სულ გვისმენდნენ და სმენითა ვერა ძღებოდნენ.

1.

მზე კი არ ბრწყინავს და ელვარებს ზეცის ლაჟვარდზე,
არა ლრუბლები მისი ეშხის ცქერით სტკბებიან:
ეს სუფრაზე ზის შემოსილი ოქროს გვირგვინით,
ზის თვით ივანე ვასილის-ძე — მეფე მრისხანე.
მის უკან სდგანან მოწიწებით სუფრის კაცები,
პირდაპირ სხედან ბოიარები და თავადები.
აქეთ და იქეთ მისი მცველი ოპრიჩნიკები.
ზეიმობს მეფე, ლხინს ეწევა ღვთის სადიდებლად,
სიამოვნებით რომ გაერთოს, დრო გაატაროს.

მაშინ ლიმილით მეფემ გასცა თავის ბრძანება,
რომ ტკბილი ღვინო უცხოური შემოეტანათ,
აევსოთ ღვინით მისი თასი მოოქროვილი
და ოპრიჩნიკებს დაელიათ მის სადიდებლად.
დალია ყველამ და მეფესაც შეასხეს ქება.

მათ შორის ერთი ოპრიჩნიკი სახელგანთქმული,
როგორც მამაცი მოკრივე და დიდგულოვანი
არ ასველებდა ოქროს თასში თავის ულვაშებს.
შავი თვალები ძირს მოწყენით მას დაეხარა,
თავი დაეშვა ფართოდ გაშლილ ვაჟკაცურ მკერდზე —
გულში კი ფიქრი, დიდი ფიქრი ჩაბუდებულიყო.

მაშინ შეჭმუხნა მეფემ თავის შავი წარბები
და მას მრისხანედ გამჭრიახი მიაპყრო თვალნი:
თითქოს ზეციდან შევარდენმა გამოქროლილმა
ჟრუნფრთიან ქედანს გადმოხედა და დააჩერდა.
მაგრამ მოკრივემ არ ასწია თვალები ზევით.
— აი იატაკს მეფემ დაჰკრა თავის არგანი.
და ერთ გოჯაზე გაატარა მუხის ფიცარში
რკინით ნაჭედი, მოლესილი არგანის წვეტი.
არც ახლა შეკრთა ახალგაზრდა და მძლე მოკრივე.
— აი წარმოსთქვა მეფემ თავის მრისხანე სიტყვა
და მხოლოდ მაშინ გამოერკვა ჩვენი ვაჟკაცი.

„ჰე, კირიბევიჩ, შენ ერთგულო ჩვენო მსახურო!
ეგების ფიქრი უწმინდური გულს დაისახე?
ეგების შეგშურს ეს ბრწყინვალე ჩვენი დიდება,
ან სამსახური შენ მოგწყინდა პატიოსანი?
მთვარის ამოსვლას ვარსკვლავები მუდამ შესტრფიან,
რადგან ნათელში მათ შეხვდებათ გასეირნება.
მაგრამ, რომელიც იმალება შავსა ღრუბელში,
იგი წუთშივე მოწყდება და მიწას ეცემა.
განა შეგშვენის, კირიბევიჩ, მეფის წყალობა
იუკადრისო, არ მიიღო ნაბოძი მეფის?
შენ სკურატოვის გვარიდან ხარ წარმოშობილი,
მალიუტას სახლში და ოჯახში ხარ შენ აღზრდილი!

კირიბევიჩი უპასუხებს მაშინ ამგვარად
მრისხანე მეფეს და თაყვანსა მიწამდე აძლევს:
— შენ, ჩვენო მეფევო, ივანე ვასილის-ძეო!
ნუ ჰკიცხავ ულირსს მონასა შენსა,
მხურვალე გულსა ღვინის შესმა ვერ გაანელებს,
პატივისცემა შავსა ფიქრებს ვერ დაამშვიდებს!

თუ განგარისხე — იყოს შენი მეფური ნება:
გაეც ბრძანება, რომ დამსაჯონ, თავი მომკვეთონ,
რადგან ამძიმებს იგი მეტად ვაჟკაცურ მხრებსა,
და თავისთავად მიწისაკენ იგი იხრება.“

მეფემ ივანე ვასილის-ძემ მას უპასუხა:
„რამ შეგაწუხა, მითხარ მაინც, მხნეო ჭაბუკო?
ეგების გაცვდა შენი ფარჩის ტანსამოსელი?
ან დაიჭმუჭნა შენი ქუდი წავის ბეწვისა?
ეგების ფული შემოგაკლდა და დაგეხარჯა?
ან და თუ ხმალი აღარა სჭრის შენი ნაწრთობი?
ეგების ცხენი დაგიკოჭლდა ცუდად ნაჭედი?
ან თუ დაგძლია და კრივის დროს მიწაზე დაგცა
მოსკვა-მდინარეს ნაპირებთან ვაჭრისა შვილმა?!“

მას უპასუხებს კირიბეევიჩი
ხუჭუჭათმიან თავის ჩაქნევით:
— „ისეთი მკლავი ჯადოსნური ჯერ არ შობილა
არც ბოიარების, არც ვაჭართა მთელსა მოდგმაში.
ჯერ ჩემი ცხენი მხიარულად დაჰქრის მინდორში,
და ხმალი ბასრი, როგორც ბროლი იმგვარად ბრწყინავს,
და უქმე დღესაც შენს მოწყალებით
სხვაზე ნაკლებად არ ვეწყობით და ვიკაზმებით.

შემოვახტები, გავაქროლებ ჩემსა ბედაურს —
მოსკვა-მდინარის ნაპირებზე გავისეირნებ.
წელს დავიმშვენებ აბრეშუმის ფერადი სარტყლით,
გვერდზე მოვიგდებ და ჩავკეცავ ხავერდის ქუდსა,
შავ ბეწვეულით შემოგარსულს და გამოფენილს.
ჭიმკართან სდგანან თავშეკრებით ტურფა ასულნი
და გოგონები ახალგაზრდა, ეშხით აღსავსე,
ჩემი დანახვა მათ ახარებს და ჩურჩულებენ.
მაგრამ მათ შორის მხოლოდ ერთი მე არ მიცქერის,
არ უხარია და მანდილით სახეს იფარავს...

ჩვენსა კურთხეულ, მშობელ რუსეთში
მზეთუნახავი ამნაირი არ იპოვება.
დადის მოხდენით, თითქოს გედი დაცურავს ტბაზე,
თუ შემოგხედა — გეგონება ლულუნა მტრედი,
წარმოსთქვამს სიტყვას — მოგესმება ხმა იადონის.
მისი ლაწვები ვარდისფერი ღელავენ ისე,
ვით განთიადით შეღებილი ცისა ლაჟვარდი.
თმის ნაწნავები ბაჯაღლოს ფერი,
ფერად მძივებით გადახლართულნი
მხრებზე დაყრილნი ირხევიან, იკლაკნებიან

და იმის ბროლის გულ-მკერდს ჰკოცნიან.
ვაჭრის ოჯახში დაიბადა და აღიზარდა —
მას ალიონა დიმიტრევნა ჰქვია სახელად.
როს დავინახავ — მეკარგება სულის სიმშვიდე
და ძირს მეშვება მკლავები მძლავრი;
თვალები სწრაფი დამიბნელდება.
წამილო სევდამ, მომეწყინა, დიდო მეფეო,
ამ ქვეყანაზე მარტო ცხოვრება.
არ მახარებენ მარდი ცხენები,
აღარ მახარებს ფარჩის სამოსი.
მე აღარ მინდა ოქრო და ვერცხლი.
ჩემი სიმდიდრე ვის გავუყო, გავუზიარო?
ვის დავანახო ვაჟკაცობა და სიმამაცე?
ტანკაზმულობით ჩემი თავი ვის მოვაწონო?

გამიშვი ვოლგის მხარისაკენ, ვოლგის ველებზე,
რომ იქ ვიცხოვრო თავისუფლად, როგორც კაზაკმა.
იქ დავდებ ჩემ თავს დაუდგრომელს და შეუპოვარს,
თავგანწირულად ბუსურმანთა შუბს ავეგები
და ბოროტ თათრებს გასაყოფად დარჩებათ შემდეგ
ეს ხმალი ბასრი, ბედაური ჩემი ერთგული
და ჩერკასული უნაგირი ჩემი სამხედრო.
ამომიკორტნის ამ ცრემლიან თვალებსა ძერა,
ძვლებს უპატრონოს და ტიალსა გადარეცხს წვიმა
და ჩემი ნეშტი საცოდავი, დაუმარხავი
განიავდება ოთხივე მხარეს!“..

და მას ივანე ვასილის-ძემ უთხრა სიცილით:
„შენ ერთგულო, მსახურო ჩემო! შენს გაჭირვებას
და მწუხარებას შევეცდები რომ დავეხმარო.
აი, წაიღე ეს ბეჭედი იაგუნდისა,
თანაც წაიღე ყელსაბამი მარგალიტისა.
ეცი თაყვანი ჯერ მაჭანკალს მოხერხებულსა
და საჩუქარი გაუგზავნე შემდეგ ძვირფასი
შენს ალიონა დიმიტრევნას, შენსა სატრფოსა.
როს შეგიყვარებს — გადიხადე მაშინ ქორწილი,
არ შეგიყვარებს—ნუ აჰყვები გულის წყრომასა.“
— ჰეი შენ მეფეო, ივანე ვასილის-ძეო!
ტყუილი გითხრა და იცრუა თვალთმაქცმა მონამ,
შენ არ გიამბო მან ნამდვილი ჭეშმარიტება
და არ გაცნობა, რომ ეს ქალი მზეთუნახავი
ღვთისა ტაძარში არის უკვე ჯვარდაწერილი,
ნაქორწინები ჭაბუკ ვაჭართან
ჩვენი კანონით ქრისტიანულით...

ჰეი, ბიჭებო, იმღერეთ, მწყობრად ფანდური აიღერეთ!
ჰეი, ბიჭებო, დალიეთ, საქმისთვის მოიცალეთ!
მხოლოდ გაართეთ ბოიარინი ჩვენი კეთილი
და ბოიარინია პირმანგოსანი!

2.

დახლთან ვაჭარი ახალგაზრდა ზის ახოვანი
და მხნე — სტეფანე პარამონის-ძე,
სახელწოდებით კალაშნიკოვი.
აწყობს, ალაგებს ის საქონელს აბრეშუმისას,
ტკბილი საუბრით დუჭინაკენ მოუხმობს სტუმრებს.
ვერცხლსა და ოქროს იგი ითვლის და ანგარიშობს.
მაგრამ ნავსი დღე მას დაუდგა და ეუთენდა:
გვერდს უვლის დუქანს მოსეირნე მდიდარი ხალხი
და სავაჭროში არავინ შედის.

წმინდა ტაძრებში დამთავრდა ლოცვა;
და კრემლის უკან ნისლიანი იწვის დაისი.
შავი ღრუბლები ცაზე ჩნდებიან,
მოერეკება მათ ქარბუქი თავის სიმღერით.
ქარვასლის ფართო, დიდი ეზო დაცარიელდა.
ჰკეტავს სტეფანე პარამონის-ძე
მუხის კარებით თავის სავაჭროს
და მას ზედ ადებს გერმანულ კლიტეს.
თავის აცსა და ბუზღუნა ქოფაკს
კარებზე აბამს რკინის ჯაჭვითა
და შემდეგ მიდის ჩაფიქრებული
მოსკვა-მდინარის გალმა — თავის მეუღლისაკენ.

შემოდის იგი თავის სახლში. გაკვირვებული
რჩება სტეფანე პარამონის-ძე:
მას ახალგაზრდა მისი ცოლი არ ეგებება.
მუხის მაგიდას თეთრი სუფრა არ აფენია,
ხატთან კი ოდნავ ანთებული ბეუტავს სანთელი
თავის ძველ მსახურს დედაკაცსა შეეკითხება:
„აბა მითხარი და მიამბე ერემეევნა
საით წავიდა და მიიმალა
ასეთ გვიან დროს ჩემი მეუღლე?
ჩემი ბავშვები საყვარელნი დალალდნენ ალბათ,
გადაიქანცნენ სირბილ-თამაშით
და ერთობ ადრე მოისვენეს და დაიძინეს?“

— ბატონო ჩემო, ო, სტეფანე პარამონის-ძევ,
უნდა გიამბო მე ამბავი გასაოცარი:
შენი მეუღლე ამ სალამოს ლოცვაზე იყო,
მაგრამ ტაძრიდან თავის ცოლით დაბრუნდა მღვდელი,
უკვე სანთლებიც ჩვენ ავანთეთ, დავსხედით ვახშმად, —
მაგრამ ამჟამად მეუღლე შენი
ეკლესიიდან არ გვინახავს დაბრუნებული.
შენი ბავშვები საყვარელი არ დაწოლილან,
ჯერაც არ სძინავთ და თამაშით არ გართობილან,
სტირიან მწარედ და არ სცხრებიან.“

შეშფოთდა მაშინ და ჩავარდა საგონებელში
კალაშნიკოვი — ახალგაზრდა კაცი ვაჭარი.
ფანჯრის წინ დადგა და გასცქერის მდუმარედ ქუჩას.
— ქუჩა კი ღამეს შეუმოსავს, ღამეს შავ-ბნელსა.
მაღლიდან თოვლი განუწყვეტლივ სცვივა და სცვივა,
კაცის ნაკვალევს ზედ ეფრქვევა და აღარ აჩენს.

კარის მოხურვის გაისმება ხმა დერეფანში,
შემდეგ ფეხის ხმა აჩქარებული.
შემობრუნდება და შეხედავს — ღმერთო ძლიერო!
იმის წინაშე ახალგაზრდა დგას მისი ცოლი
გაფითრებული, გაწეწილ თმებით.
თმის ნაწნავები ოქროს ფერი უჩანს დაშლილი,
თოვლი და თოში მათ დაჰყრია და დაფრქვევია.
ისე ვით გიჟი, იცქირება მღვრიე თვალებით,
ბაგენი რაღაც გაუგებარ სიტყვას ამბობენ.

„მითხარი, ქალო, სად იყავი, იხეტიალე?
რომელ ქუჩაში და მოედანზე,
რომ შენი თმები აიწეწა და აიბურდა?
რომ ტანსაცმელი ჩამოგხევია?
ალბათ ილხენდი, დროს ატარებდი
შენ ბოიარების შვილებთან ერთად!
არა ამისთვის, ჩემო ცოლო, წმინდა ხატებთან
ჩვენ ჯვარს ვიწერდით, გვირგვინს ვიდგამდით,
არა ამისთვის ჩვენ შევცვალეთ ჩვენი ბეჭდები...
აი ჩაგკეტავ, რკინის კლიტით გადაგირაზავ
მუხის კარებსა მაგრად ნაჭედსა,
რომ ვერ იხილო ვერასოდეს სინათლე დღისა,
რომ არ არცხვენდე შენ ჩემ სახელს პატიოსანსა...“

როს ალიონა დიმიტროვნამ ეს გაიგონა,
მთლად აცახცახდა ჩემი მტრედი, ჩემი ლამაზი,
ატოკდა თითქოს ფოთოლი ვერხვის.

მწარედ ატირდა და აქვითინდა.
და ქმრის წინაშე პირქვე დაემხო..

„უფალო ჩემო, მზეო ნათელო,
ან შენი ხელით მე მომკალი, ან მომისმინე!
სიტყვები შენი ბასრი დანაა,
მათი მოსმენით ეული მიკვდება,
არ მეშინია სასტიკ სიკვდილის.
არც ხალხის ჭორის, მითქმა-მოთქმისა,
მაშინებს მხოლოდ შენი წყრომა და შენი რისხვა.

„შინ ვბრუნდებოდი ლოცვის შემდეგ მე ამ საღამოს,
სულ მარტოდ-მარტო მოვდიოდი მე ამ ქუჩაზე
უცბად მომესმა ფეხის ხმაური,
შემოვტრიალდი, — დავინახე გამორბის კაცი.
მუხლებში უცბად მომისავდა და ჩავიკეცე,
და აბრეშუმის გადვიფარე სახეზე რიდე.
მაგრად ხელები დამიჭირა და თანაც ჩუმად
ყურს ჩამჩურჩულა ასეთი სიტყვა:
— ნეტავ რას შიშობ, ჩემო ტურფავ, ჩემო ლამაზო?
არა ვარ ქურდი, ტყეთ გაჭრილი კაცისა მკვლელი,
მე ვარ მსახური მხოლოდ მეფის, მრისხანე მეფის;
სახელად მქვია კირიბევიჩი,
შთამომავლობით ვარ დიდებულ მალიუტას გვარის...“
მე კიდევ მეტად შემიპყრო შიშმა,
თავბრუ დამესხა მე საცოდავსა.
მან კი დამიწყო მოფერება, კოცნა, ალერსი,
და როს მკოცნიდა ასეთ სიტყვებს იმეორებდა:
— ო, მიპასუხე, რა გსურს, რა გინდა,
ჩემო ძვირფასო და სანატრელო!
ეგებ ოქრო გსურს, ან მარგალიტი?
ძვირფასი თვლები, ფარჩა ფერადი,
როგორც დედოფალს ისე მოგრთავ, ისე მოგკაზმავ,
ყველა სიხარბით რომ შეგნატროდეს.
ნუ მოისურვებ მხოლოდ სიკვდილს ჩემსა ცოდვილსა:
ო, ერთჯერ მაინც განშორებისას
შემომეხვიე და შემიყვარე!“

„მეფერებოდა, მიალერსებდა
და ჩემს ლაწვებზე მისი ამბორი,
მისი ამბორი შეჩვენებული
ჯერ არ დამცხრალა, ცეცხლად მედება...
ამას უცქერდენ მეზობელი ქალები ჩუმად.
სიცილით ჩვენსკენ ჭიშკარიდან აშვერდნენ თითსა.

„მას, როგორც იყო, გამოვუსხლტი
და მთელ ძალ-ღონით შინისაკენ გამოვიქეცი.
მაგრამ იმ ყაჩაღს ხელში დარჩა ჩემი პირბადე
გამოქარგული, შენი ნაბოძი.
და თავსაფარი ჩემი ბუხრისა.
მომჭრა მან თავი და შემარცხვინა,
ქალი უმწიკლო, პატიოსანი —
ბოროტი ჩვენი მეზობლები ან რას იტყვიან,
ვის დავენახო, ჩემი თავი სადღა გამოვყო?

———

„ნუ გაიმეტებ, ნუ გასწირავ შენ ერთგულ ცოლსა,
ბოროტი ხალხის დასაცინად ნუ გახდი იმას!
ვისი იმედი უნდა მქონდეს, თუ არა შენი?
ვის უნდა ვთხოვო, რომ მიშველოს და დამეხმაროს?
ამქვეყნად დავრჩი მე ობოლი და უპატრონო;
მშობელი მამა განისვენებს ცივ სამარეში
და იმის გვერდით წევს დედაჩემიც.
შენც კარგად იცი, ძმა უფროსი გადაიხვეწა
და უგზო-უკვლოდ დაიკარგა უცხო მხარეში,
უმცროსი ძმა კი ბავშვია კიდევ,
ბავშვია ბრიყვი და უმეცარი...“

———

ასე ალიონა დიმიტრევნა ამბობდა მოთქმით
და თანაც ღვრიდა ცრემლებს მდუღარეს.
იხმობს სტეფანე პარამონის-ძე,
იბარებს სახლში ორ უმცროს ძმასა.
მოვიდნენ ძმები, მისცეს სალამი
და მას სიტყვები ჰკადრეს ასეთი:
„აბა, გვიამბე ყველაფერი, უფროსო ძმაო;
რა მოგვიდა, გასაჭირი თუ რა შეგემთხვა,
რომ გვიხმობ სახლში ამ ბნელი ღამით,
ამ ბნელ და ყინვით მზარავ ღამეში?“

———

— თქვენ, ჩემო, ძმებო, საყვარელნო, უნდა გიამბოთ,
რომ თავს დამატყდა საშინელი უბედურება:
მეფის ბოროტმა ოპრიჩნიკმა კირიბევიჩმა
ჩვენი ოჯახი შეურაცყო პატიოსანი.
ასეთ შერცხვენას ვერ აიტანს ადამიანი
და ვერ მოითმენს ვაჟკაცის გული.

ხვალ, როცა კრივით შებრძოლება გაიმართება
მდინარე მოსკვას ნაპირებზე მეფის დასწრებით —
მე ოპრიჩნიკთან საბრძოლველად უნდა ვავიდე!
შევებრძოლები სასიკვდილოდ, მთელი ძალ-ღონით.
თუ დამამარცხა — მაშინ თქვენ გადით
სიმართლისათვის დასდევით თავი!
არ შედრკეთ, ჩემო საყვარელო, ერთგულო ძმებო!
თქვენ უფრო შეგწევთ, ხართ უმცროსნი, ძალ-ღონით სავსე,
თქვენ არ მიგიძღვით ჩემოდენი ცოდვა და ბრალი,
გამჩენი ეგებ ჩემზე მეტად თქვენ შეგიწყალოს!“

მას საპასუხოდ ძმებმა ჰკადრეს სიტყვა ასეთი!
„საითაც ქარი დაუბერავს ზეცის წიაღში —
იქეთ მორჩილად მისცურავენ მუდამ ღრუბლებიც.
როდესაც ჟრუნი არწივის ხმა გაისმება
ბრძოლის სისხლიან ველისაკენ მომწოდებელი,
რომ მოხდეს ლხინი, დახოცილთა ლეშების კორტნა —
არწივის პარტყებს ეჩქარებათ მისკენ გაფრენა.
შენა ხარ ჩვენი ძმა უმფროსი, მეორე მამა.
მოიქეც ისე, როგორც იცი, როგორც გნებავდეს —
ჩვენ კი, მშობლიურს, არ გაგწირავთ, არ გიღალატებთ.“

*
* *

ჰეი, ბიჭებო, იმღერეთ, მწყობრად ფანდური აყელერეთ!
ჰეი, ბიჭებო, დალიეთ, საქმისთვის მოიცალეთ!
მხოლოდ გაართეთ ბოიარინი ჩვენი კეთილი
და ბოიარინია პირმანგოსანი!

3.

მოსკოვს დიადს და ოქროთმოჭედილს,
კრემლის თეთრქვიან, ბრწყინვალე კედლებს,
სახურავებზე ცელქი ნავარდით,
რუხი ღრუბლების ცაში გაფანტვით,
შორი ტყიდან და ლურჯი მთებიდან —
წითლათ აისი გადაეფარა.
გაშალა ოქროს ხუჭუჭა თმები
და თოვლის ფიფქით პირს იბანს ნაზად
და, როგორც სარკეს მზეთუნახავი,
გასცქერის ზეცას და ელიმება.
რად გაიღვიძე, რათ იფეთქე წითლათ აისო?
რა სიხარულის მოლოდინში ცელქობ, ხალისობ?

იკრიბებოდნენ და გროვდებოდნენ
მთელი მოსკოვის ვაჟკაცები — მოკრივეები
მდინარე მოსკვას ნაპირებზე შესაბრძოლებლად,
თავგასართობად და სასეიროდ.
და თავათ მეფე გამობრძანდა თავის ამალით
ოპრიჩნიკებით, ბოიარებით.
გასცა ბრძანება — გაეჭიმათ ჯაჭვი ვერცხლისა
წმინდა ოქროთი ყოველ რგოლში შედუღებული.
ოცდა ხუთ საჟნის შემორკალეს ჯაჭვით ფართობი,
რომ იქ მსურველებს გაემართათ პირისპირ ბრძოლა.
ბრძანა ივანე ვასილის-ძე მეფემან მაშინ,
რომ მიემართათ ხალხისათვის მკვეთრი ძახილით:
„ჰოი, სადა ხართ ბრგე ვაჟკაცებო,
რომ ჩვენი მამა, ჩვენი მეფე ამხიარულოთ?
აბა გამოდით მოედანზე შესაბრძოლებლად:
ვინც გაიმარჯვებს — მას საჩუქარს უბოძებს მეფე,
ვინც დამარცხდება, — აპატიებს, შეუნდობს ღმერთი!“

———

მაშინ მამაცი გამოვიდა კირიბევიჩი.
მეფეს უსიტყვოდ თავს უკრავს დაბლა.
ხავერდის შუბას გადაიგდებს ფართო მხრებიდან,
მარჯვენა ხელით მოიდგამს დოინჯს,
მეორე ხელით თავის წითელ ჭუდსა ისწორებს.
ბოელოდება იგი თავის მოპირდაპირეს.
სამჯერ გაისმა ხმამაღალი გამოძახება.
არცერთ მებრძოლმა არ ისურვა ფეხის გადადგმა.
სდგანან და მხოლოდ უბიძგებენ ჩუმად ერთმანეთს.

———

დაიარება ოპრიჩნიკი დიდ მოედანზე,
ცუდ მოკრივეებს იგი დასცინის:
„მიყუჩდით განა და ჩავარდით საგონებელში?
დე იყოს ეგრე, ამ უქმისთვის გაძლევთ პირობას
გაგიშვებთ ცოცხალს, მოსანანებლად,
მხოლოდ ჩვენს მეფეს გავართობ და ვამხიარულებ“.

———

აი შეირხა და შუაზე გაიყო ხალხი:
მოედნისაკენ ახალგაზრდა მოდის ვაჭარი —
თავათ სტეფანე პარამონის-ძე,
მოკრივე მხნე და უშიშარი კალაშნიკოვი.

მეფეს მრისხანეს მან პირველად სალამი მისცა,
შემდეგ თეთრ კრემლსა და წმინდა ტაძრებს,
შემდეგ კი რუს ხალხს დღეს აქ შეკრებილს.
თვალები მისი შევარდნისა ბრწყინავენ ცეცხლად
და შეუპოვრად შესცქერიან მოპირდაპირეს.
მასთან პირისპირ იგი ჩერდება
და ხელთათმანებს კრივისთვის ხელებზე იცვამს.
ფართო, ძლიერ მხრებს ისწორებს ღინჯად,
თანაც ხელს ისვამს ხუჭუჭა წვერზე.

მას ეუბნება კირიბევიჩი:
„მითხარი მაინც, ვაჟკაცო ჩემო,
რა გვარისა ხარ, ან რა ტომისა,
რას გიწოდებენ, ან რა გქვია?
ვიცოდეთ მაინც პანაშვიდი ვის გადუხადოთ,
ვიცოდეთ, მაინც რით დავიკვეხნოთ!“
ამბობს სტეფანე პარამონის-ძე:
„სახელად მქვია მე სტეფანე კალაშნიკოვი,
პატიოსანი მამისაგან მე ვარ შობილი,
ღვთისა კანონით ვცხოვრობდი მუდამ,
მე სხვისი ცოლი არასოდეს შემირცხვენია,
არც ყაჩაღობას ბნელ ღამეში არ ვეწეოდი
და მზის სინათლეს არ გავურბოდი!
ჭეშმარიტია ის სიტყვები შენ რომ წარმოსთქვი:
ჩვენს შორის ერთზე გადიხდიან ალბათ პანაშვიდს
და ეს უთუოდ უნდა მოხდეს ხვალვე, შუადღით.
ჩვენ შორის ერთი დაიწყებს, კვეხნას
როს თავის მამაც მეგობრებთან გამართავს ქეიფს.
არა სახუმროდ, არა ხალხი რომ გავაცინო,
შენს წინააღმდეგ გამოვსულვარ, თათრის ნაშობო,
საბედისწერო, უკანასკნელ ბრძოლისთვის ახლა!“

როს ეს სიტყვები მოისმინა კირიბევიჩმა —
გაფითრდა ისე, როგორც თოვლი შემოდგომისა.
ანთებულ თვალებს თითქოს ბინდი გადაეფარა,
ძლიერ ბეჭებში გაურბინა ცივ ერუანტელმა,
გახსნილ ტუჩებზე გაეყინა სათქმელი სიტყვა.

აი ერთმანეთს სცილდებიან ჩუმად ისინი,
იწყება ბრძოლა ვაჟკაცური, „მირთა-გმირული.

შემოიქნია მაშინ მკლავი კირიბევიჩმა
და კალაშნიკოვს დაჰკრა პირველმა,
დაჰკრა მას მკერდში, შუა მკერდში მთელი ძალღონით.
შეირყა მკერდი მხნე მამაცური,
შედრკა სტეფანე პარამონის-ძე.
მას ფართო ჯვარი სპილენძისა ეკიდა გულზე,
ჯვარი წმინდანთა ნაწილებით კიევიდანა.
და გაიღუნა ფართოჯვარი, შეიჭრა მკერდში,
დილის ცვარივით გამოეთონა წვეთებად სისხლმა.
ფიქრობს სტეფანე პარამონის-ძე:
„რაც ბედით არის განზომილი — ის ასრულდება,
სიმართლისათვის უნდა დავდო დღეს ჩემი თავი!“
გამხნევდა გულით და მოემზადა,
მთელი ძალ-ღონე შემოიკრიბა,
და გამეტებით დაჰკრა მოძულეს,
დაჰკრა მარცხენა საფეთქელში დაურიდებლად.
და ახალგაზრდა ოპრიჩნიკმა ამოიგმინა,
შეირხა ტანით და უსულოთ მიწას დაეშვა.
დაეცა იგი, გაიშალა უძრავად თოვლზე,
დაეცა თოვლზე, როგორც ფიჭვის ხე,
როგორც ფიჭვის ხე უდაბურს ტყეში
ძირში მოჭრილი წამოიქცევა....
მეფე ივანე ვასილის-ძე ამის მნახველი
განრისხდა ძლიერ და გაგულისდა.
შავი წარბები მან შეჰყარა და თანაც ბრძანა,
რომ წამს შეეპყრათ ეგ მამაცი ვაჭარი მცველებს.
და მოეყვანათ მის წინაშე პასუხსაგებად.
მაშინ გაისმა ხმა მეფისა მართლმადიდებლის:
„მომეც პასუხი უტყუარი, სინდისიერი,
ნებით მოჰკალი თუ უნებლიეთ
ჩემი ერთგული მოსამსახურე,
ჩემი მოკრივე ყველასმჯობნი კირიბევიჩი?“

— ჰოი, მეფეო, გეტყვი სიმართლეს,
რომ მოვკალ იგი ნებით, განზრახვით,
მხოლოდ არ გეტყვი რისთვის, ან რატომ,
მხოლოდ ჩემს გამჩენს ვუამბობ ამას.
ბრძანე, სიკვდილით რომ დამსაჯონ, ბრძანე მომკვეთონ
ეს ჩემი თავი დამნაშავე, მხოლოდ გთხოვ იმას,
არ დამიტოვო უპატრონოდ ნორჩი ბავშვები,
არც ჩემი ცოლი ახალგაზრდა დაქვრივებული
და ორ ძმას ჩემსას არ მოაკლო შენი წყალობა...“

„მომწონს, ჭაბუკო, ვაჭრისა შვილო,
შეუპოვარო და მამაცო ჩემო მოკრივევ,

რომ მიპასუხე სინდისიერად.
ცოლს ახალგაზრდას და ობლებს შენსას
ჩემს სალაროდან დავასაჩუქრებ,
შენს ძმებს ამ დღიდან მივცემ უფლებას,
რომ მთელ რუსეთის დიდ სამეფოში
დაუბეგრავად მუდამ ივაჭრონ,
მაგრამ შენ თავათ წადი, ჭაბუკო,
სიკვდილით სასჯელ მაღალ ადგილზე —
იქ დასდე შენი მშფოთარე თავი!
ვბრძანებ, გალესონ და მოპირონ კარგად ნაჯახი,
ვბრძანებ, ჯალათი რომ მოკაზმონ და გამოაწყონ,
ვუბრძანებ, დიდი დარეკონ ზარი,
დე, მცხოვრებლებმა მოსკოვისა ყველამ იცოდეს,
რომ არც შენა ზარ მოკლებული ჩემსა წყალობას...“

ბრუვდება ხალხი და თანდათან ავსებს მოედანს.
მწუხარედ კვნესის, გუგუნებს ზარი,
ამბავს საზარელს აცნობებს ყველას.
სიკვდილით სასჯელ მაღალ ადგილზე
წითელ პერანგში გამოწყობილი,
ავარვარებულ დიდი ნაჯახით
და გაშიშვლებულ ხელების სრესით
აუჩქარებლად დადის ჯალათი.
მოელოდება მამაც მოკრივეს.
მაგრამ ვაჭარი ახალგაზრდა და მხნე მებრძოლი
მკვიდრ ძმებს თავისას ემშვიდობება:

„ჰოი, თქვენ ძმებო, ჩემნო სისხლო და ხორცო!
გადავეხვიოთ და ვაკოცოთ ერთმანეთს ახლა,
უკანასკნელი განშორების მოვიდა წუთი!
ჩემს ალიონას გადაეცით ჩემგან სალამი,
უთხარით ერთობ ნუ იდარდებს და ნუ ოჯავრებს...
პატარა ბავშვებს ნუ უამბობს ჩემზე ნურაფერს,
პატივისცემით მომიკითხეთ მშობელთა სახლი,
პატივისცემით მომიკითხეთ ამხანაგები.
თქვენ თავათ წადით და ილოცეთ წმინდა ტაძარში,
ღმერთს შეავედრეთ ჩემი სული, სული ცოდვილი!“

და დაისაჯა კალაშნიკოვი
სამარცხვინო და სასტიკ სიკვდილით.
მისი ნაკვეთი ტიალი თავი
სისხლში გასვრილი მიწას გაგორდა.
დაასაფლავეს იგი მოსკვა მდინარეს იქით,
მინდორში, სადაც სამი გზა მიდის:
ტულის, რიაზანის და ვლადიმირის.

მის საფლავს მიწა მთად დააყარეს
და ჯვარი ხისა მასზე აღმართეს.
და შრიალებენ, მიმოჰქრიან ქარნი ვერანნი
მის უსახელო სამარეზედა.
კეთილი ხალხი ამ საფლავის მახლობლად დადის.
მოხუცი კაცი გვერდს გაუვლის — პირჯვარს გადიწერს,
კოხტა ჭაბუკი გვერდს გაუვლის — მხრებს გაისწორებს,
ტურფა გოგონა გვერდს გაუვლის — გულს დაიღონებს,
მეფანდურენი გაივლიან — სჭიქენ სიმღერას.

ჰეი, ჭაბუკნო, მამაცნო,
მეფანდურენო ვაჟკაცნო,
ხმებო წკრიალა, წარმტაცნო!
კარგად დაიწყეთ და კარგადაც დააბოლოვეთ,
ყველას მართალი, საკადრისი სიტყვა უპოვეთ!
დარდიმანდ ბოიარინს — დიდება!
ბოიარინიას ტურფას — დიდება!
და ქრისტიანულ მთელს ხალხს — დიდება.

თარგმნილია **კოლაუ ნადირაძის** მიერ

კ რ ი ტ ი კ ა

ᲖᲘᲝᲠᲖᲘ ᲜᲐᲢᲠᲝᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲝᲠᲑᲔᲚᲘᲐᲜᲘ

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ტფილისი ის-ის იყო ახლად ათავსებდა პატრიარქალურ ტრადიციებს ცივილიზებული ევროპის მანერებთან. მრავალფეროვანი იყო ცვლილებანი, რომელსაც მაშინ ტფილისის ცხოვრება განიცდიდა. მაგრამ წაბაძულობის სული მაინც ვერ ჰშლიდა ნაციონალურ თავისებურებებს, არამედ ათავსებდა, აერთიანებდა, ათანხმებდა მათ ახალთან, როგორც ყოფაცხოვრებაში, ისე ლიტერატურაში. აღზრდით, პოეტური და საყოფაცხოვრებო ტრადიციებით გრ. ორბელიანი მთლიანად ამ ტფილისს ეკუთვნოდა. ამ ქალაქში დავაუკაცდა მისი პოეტური შთაგონება. და თუ მას სადმე შორს ყოფნა უხდებოდა—მაინც აქეთ მოუწევდა გული. „კაცს შეუძლიან ყველგან იყოს,—ამბობდა იგი,—თუნდ იაპონიაში, თუნდ შვეიცარიაში, თუნდ ინგლისში, მაგრამ ცხოვრებით კი მარტო თბილისში უნდა იცხოვროსო“. [1])

მისი ცხოვრების საუკეთესო მოგონებანი, ისევე როგორც მისი საუკეთესო ლექსები ტფილისთან არიან დაკავშირებული; არა პოლიტიკურ და ადმინისტრატიულ ტფილისთან, ერმოლოვისა და პასკევიჩის რეზიდენციასთან, არამედ ხელოსნების, მეთევზეების, ყარაჩოღელთა ქალაქთან. პოეტმა ყველა საფეხური გაიარა იუნკრობიდან გენ.-ადიუტანტობამდე და მაინც მისი სულიერი ნათესაობა ამ მდაბიო ხალხთან, ამ მაშინდელი ტფილისის მესამე წოდებასთან არ გაწყვეტილა. ყველაფერი ეს ნათელ შუქსა ჰფენს მისი პოეზიის ერთ ფრიად მნიშვნელოვან მხარეს,—მის მუხამბაზურ ლექსებს.

ის მთლიანად აღმოსავლური ტემპერამენტის ადამიანი იყო, აზიური განცხრომისა და დიდების მოყვარე. ტყუილად კი არ სწერდა პოეტი ვილნოდან ანტონ ორბელიანს „აზიატეცი ვარო“. ნახევრად ირონიულად და ნახევრად სიამაყით მთიულებთან ომის დროს თავის თავს „ჰაქიმ ხან ემირ ავარსა“ და „ქინიაზ ხან ორბელიანს“ უწოდებს. ყირიმის ომის წინა დღეებში შიშითა და იმედით მოელის პირველი ზარბაზნების დაქუხებას არფაჩაის ნაპირებზე, გული აღარ უჩერდება ზაქათალაში და „ტრაპიზონტის ფაშობაზე“ ოცნებობს. თავისი მხედრული ცხოვრებით ის მართლაც მოგვაგონებს იმ ძველ ქართვე-

[1]) ი. მეუნარგია — ცხოვრება და ღვაწლი გრ. ორბელიანისა, გვ. 172.

ლებს, რომელნიც ოდესღაც, წინა საუკუნეებში, ხანებისა და ფაშების ტიტულებით უცხოელთა ჯარებს მეთაურობდნენ.

როგორც კი დაამთავრა ტფილისში შფოთიან დროს გატარებული თავისი ყრმობის წლები — სულ მალე, ადრეულ სიჭაბუკეშივე მან მხედრის ცხოვრება დაიწყო. მთელი ის გაჭირვება, სიძნელე, რაც განუყრელად თან ახლდა იმ დროის გაუთავებელ ლაშქრობათა მონაწილეს—მისი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი გახდა. თავის დღიურში მან ეს ცხოვრება დააახასიათა როგორც „ანაზდეული და ერთბაში გადასვლა სიმდიდრიდან სიღარიბეში, ბალიდან პახოდში და წვიმაში"... ბედის ძიებამ დიდხანს ატარა იგი „იმიერ მთათა, მხარესა უცხოსა", ხან აქეთ და ხან იქით გადაისროლა, მანამდე ვიდრე ბოლოს თხუთმეტი წლის განმავლობაში დაღესტნელთა პირისპირ არ დააყენა. ამ წლებამდე მას უკვე მიღებული ჰქონდა პირველი საბრძოლო ნათლობანი ირანელებთან ბრძოლაში შამქორის ახლოს, ირაკლის თაფასთან და ერევნის ბურჯებთან, სადაც რუსებმა სასტიკად დაამარცხეს აბას-მირზას სარბაზები. გრ. ორბელიანი მონაწილე იყო თურქეთთან ბრძოლებისაც, რომლის დროს რუსის არმიამ ჯერ ყარსი, შემდეგ ახალქალაქი, ხერთვისი და ახალციხე აიღო.

და სწორედ ამ ხანებში ახალგაზრდა პოეტის ფიქრი სხვაგან ქროდა და სხვა იდეებით იყო პოეტი გატაცებული.

ეს მნიშვნელოვანი პერიოდია გრ. ორბელიანის ცხოვრებისა და შემოქმედებისა.

ჩვენს ლიტერატურაში გრ. ორბელიანი ცნობილია, როგორც დაუძინებელი მტერი კავკასიის მთიელთა გამათავისუფლებელი მოძრაობისა, მაგრამ ასევე ცნობილი როდია ის ფაქტი, რომ ადრეულ ხანებში პოეტი ამავე მთიელთადმი სიყვარულით იყო აღსავსე. საგულისხმოა, რომ—როცა რუსეთში მიმავალ პოეტს უაბარდოზე გავლა მოუხდა, უაბარდოელების შესახებ მას ასეთი სტრიქონები ჩაუწერია თავის დღიურში: „უწინ ძლიერი ხალხი იყო. გარნა საშინელმა ჭირმან განწყვიტა და შემდეგ ბრძოლამან პირისპირ რუსთა. უმეტესი ნაწილი ხალხისა წინაალმდეგი იყო ყოვლისა მორჩილებისა, გაიქცა ყუბანის იქით. უაბარდოელნი არიან თავისუფლების მოყვარენი, რომლისათვისაც ებრძვიან რუსთა ესოდენთა წელთა, რომელთაც შეავიწროვეს ფრიად, დაამცირეს და დაიპყრეს მთელი უაბართო. გარნა სიყვარული თავისუფლებისა ვერა აღხოცეს მათში. ესენი არიან მხნენი და ყოველთვის საომრად გამზადებულნი და მარადის ეძიებენ შემთხვევას, რათა დაიხსნან მამული თვისი." [1])

და შემდეგ:

„უწინ
როდეს არ დაუტოვებდნენ ომში მკვდარსა თვისსა და არც დანებდებოდნენ ტყვედ; მრავალჯერ იყო მაგალითი, რომელ შემწყვდეული უაბარდოელი, რა ვეღარ ნახავდა გზას გასაქცევად დაამსხვრევდა იარაღთა თვისთა **და** მხოლოდ ხანჯლით ანუ ხმლითა შეუტევთ მტერთა და ისე მოკვდებოდა. ტყვეობას ერჩივნათ სიკვდილი." [2])

აქ იგივე სიყვარულია მთიელთადმი, რომელსაც იმ დროის რუსულ პოეზიაში ვხედავთ.

---

[1]) გრ. ორბელიანი — მგზავრობა ჩემი თბილისიდამ პეტერბურგამდე. „მნათობი," 1940 წ. № 2, გვ. 76

[2]) იქვე, გვ. 76 — 77.

საერთოდ რუსეთის მონარქიულ იმპერიაში მომწყვდეულ დაჩაგრულ ხალხებს რომანოვების ოფიციალური რუსეთის, სამხედრო ფეოდალური ბიუროკრატიის წინააღმდეგ ბრძოლის სულიერ იარაღს თვით რუსი ხალხი, მოწინავე რუსი ინტელიგენცია აწვდიდა.

და თუ ცარიზმი აღრჩობდა და სთელავდა ერებს — მოწინავე რუსი ინტელიგენტი ამ ხალხის თავისუფლებაზე ოცნებობდა.

ეს იყო წლები, როცა იწყებოდა მეცხრამეტე საუკუნის ნაციონალურ-გამათავისუფლებელი ბრძოლების ვრცელი ეპოპეა. რუსულ პოეზიაში მკაფიოდ ისმოდა დესპოტიზმის წინააღმდეგ, მონური მორჩილების წინააღმდეგ პროტესტის ხმა.

ჩქარა სიტყვას საქმეც მოჰყვა. დეკაბრისტებმა თავისი გამოსვლით რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ერთი უშესანიშნავესი ფურცელი გადაშალეს.

ასეთ დროს ქართულ ენაზე ითარგმნება რილეევის „ნალივაიკო". მაგრამ „ნალივაიკოს აღსარება" ზუსტი თარგმანი არ არის. გრ. ორბელიანს იგი ისე გაუქართულებია, რომ მასში ლაპარაკია უკვე არა უკრაინელი, არამედ ქართველი ხალხის ჩაგვრის შესახებ და თარგმანში ამავე დროს შენარჩუნებულია სამშობლოსთვის თავდადების, საკუთარი პიროვნების შეწირვის იდეის აპოლოგია.

როცა ეს ლექსი ითარგმნებოდა—დეკაბრისტების მოწამეობრივი სიკვდილი უკვე ისტორიული ფაქტი იყო. უკვე წარმტაც ლეგენდებად თავგანწირვისა და ბრძოლის სიმბოლოებად იყვნენ გადაქცეული თოთხმეტი დეკემბრის ადამიანები; ხუთმა სახრჩობელამ, რომლითაც თავის მეფობა დაიწყო ნიკოლოზ პირველმა, ხოლო რომლითაც სიცოცხლე დაამთავრეს სიმამაცით და ვაჟკაცობით აღსავსე თავად-აზნაურულმა რევოლუციონერებმა, ვერ ჩაჰკლა კრამოლას სული, პირიქით უფრო გააღვიძა ტკივილისა და მოქალაქეობრივი უფლებებისთვის ბრძოლის წყურვილი.

და რაც ყველაზე ღირსშესანიშნავი და რომანტიულია მთელ ამ ისტორიაში, ეს არის ის ფაქტი, რომ „ნალივაიკოს" აღსარებამ რილეევის ჩამოხრჩობის შემდეგ ახალი აზრი, ახალი განათება მიიღო. რილეევს თავის თავზე აუხდა „ნალივაიკოში" ნათქვამი სიტყვები:

«Погибну я за край родной,—
я это чувствую, я знаю,
и радостно, отец святой,
свой жребий я благословляю.»

დეკაბრისტების დალუპვის შემდეგ უკვე უფრო მეტად ნათელი იყო, რომ ეს ლექსი უმიზნებდა არა მარტო პოლონეთის შლიახტას, არამედ რუსეთის ცარიზმსაც. ეს იყო მრისხანე მუქარა მტარვალთა მიმართ, და ასეთად ისმოდა გრ. ორბელიანის თარგმანშიც:

„მე თავისუფლებისათვის სული მარადის მიკვნესის,
და ეს ოცნება დღე და ღამ ვითა აჩრდილი თან მდევნის"

ნალივაიკოს სულისკვეთება შენარჩუნებულია გრ. ორბელიანის ლექსში: სულიერი მოძღვარი აფრთხილებს ამხედრებულ გმირს, ზეციური რისხვითა და საუკუნო ტანჯვით აშინებს მას. მაგრამ ნალივაიკოზე ზეციური მუქარა არა სჭრის. მისთვის ნამდვილი ჯოჯოხეთი ისაა, რომ ტყვედქმნილ მამულს შესცქერის, ხოლო სასუფეველია, როცა მას თავისუფალს დაინახავს. ლექსში

კომპრომისისა და შერიგების ნატამალიც არა ჩანს. პოეტი აცხადებს: „მტრისა სისხლისა ვარ დასათხევად მოსურნეო“.

და უნდა ითქვას, რომ ეს მარტო ეროვნული რადიკალიზმი არ იყო. დროის მოკლე პერიოდის განმავლობაში, შეიძლება ითქვას, გრ. ორბელიანის მსოფლმხედველობაში იყო ერთგვარი, თუმცა ძლიერ სუსტი, განხრა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული იდეებისაკენ. რა ვუყოთ რომ ის არისტოკრატი იყო! კ. მარქსი ამბობდა: „... არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ დემოკრატიული წარმომადგენლები ყველა მედუქნეები ან ამათი მოტრფიალენი არიან. თავიანთი განათლებისა და ინდივიდუალური მდგომარეობის მიხედვით მათ შეუძლიათ ამ უკანასკნელთაგან ისე იყვნენ დაშორებულნი, როგორც ცა დედამიწისაგან.“ [1]) სუსტი ტენდენცია პოეტს ამ იდეებისაკენ რომ ჰქონდა, ამას თუნდა ისიც ამტკიცებს, რომ იგი იმ ხანებში საქართველოს აღორძინებას „მსწავლულ კაცთა და ხელოსანთა“ ხელით აპირებდა.

მაგრამ მთავარი ის არი, რომ 1832 წლის შეთქმულებაში ასეთი ტენდენციები ძალიან შკრთალი იყო. 1832 წლის შეთქმულებას ახასიათებდა პირველი ცდის გაუბედაობა, შიში საკუთარი მიზნების უზომო სიდიდის წინაშე, შიში გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმის წინაშე. არ იქნება სწორი იმის თქმა, ოითქოს შეთქმულებს პოლიტიკური პროგრამა არა ჰქონდათო, რადგან ისინი პროტესტანტულად იყვნენ განწყობილნი და პოლიტიკური პროტესტი საკუთარი თანაბარია პოლიტიკური პროგრამისა, მაგრამ ლიტონ სიტყვას, უიარაღო აღშფოთებას, რომელიც ხიშტის ჯავშანში არ არის ჩაცმული და რომელსაც ხალხი არა თუ მხარს არ უჭერს, არამედ მისი არსებობაც კი არ იცის—ცხადია ძალა არ ექნებოდა. თვით შეთქმულების მეთაურნი ეჭვით შესცქეროდნენ თავის საქმეს, განუწყვეტლივ მერყეობდნენ, არა ჰქონდათ პოლიტიკური რადიკალიზმი, ამიტომ იყო ეს შეთქმულება ქართული ინტელიგენციის მოუმწიფებლობის ნათელი დემონსტრაცია.

რეპრესიების შემდეგ, რომელიც მოჰყვა 1832 წლის შეთქმულებას, ოცდაათიანი წლების ინტელიგენციამაც დაამთავრა თავისი ბუნტარობის პერიოდი და ზავი ჩამოაგდო არსებულ სინამდვილესთან.

ახალ პირობებში მას ფართო გასაქანი ჰქონდა. ცარიზმი ცეცხლითა და მახვილით ეუფლებოდა ურიცხვ ტომთა ტერიტორიას. აფართოებდა თავისი გავლენის სფეროს, ამ გზაზე იგი მრავალ წინააღმდეგობას ხვდებოდა, რომელთაგან ყველაზე ძლიერი—ეს მთიულების წინააღმდეგობა იყო. მაგრამ ახლა გრ. ორბელიანს მთიულების ბრძოლა რომანტიულ სევდას აღარ აგრძნობინებდა. მისთვის ეს ბრძოლა ყოველდღიურობის მოსაწყენ პროზად გადაიქცა.

ომს, რომელშიც შამილი იცავდა კავკასიას, მთელი ევროპა თვალს ადევნებდა. გრ. ორბელიანი ამ შეტაკებების შუა გულში ტრიალებდა, მაგრამ ის არა ყოფილა იმ ბანაკში, სადაც დაჩაგრულ საქართველოს შვილს უნდა ებრძოლა.

გრ. ორბელიანის გულმოდგინეობა კავკასიის ომში რომ მარტო აქსელბანტებისა და ორდენების სიყვარულით ავხსნათ—ეს ცალმხრივობა იქნება. პოეტს—თუმცა შემცდარი და არა სწორი—მაგრამ მაინც თავისი ფსიქოლო-

---

[1]) კ. მარქსი — „თვრამეტი ბრიუმერი ლუი მონაპარტისა“. ქართ. გამოცემა, გვ 48-49

გიური მოტივები ჰქონდა, რომელნიც მის სინდისს ამშვიდებდნენ. ის თითქოს გრძნობდა, რომ მთელ ამ ბრძოლებში იზოგებოდა საქართველო, ის ფიქრობდა, რომ გერგებილთან და სალათავის მთაგრეხილზე აგრძელებდა ქართული პატრიოტიზმის საქმეს, მას ეგონა, რომ იმ ქალებისა და ბავშვების სისხლს იღებდა, რომელნიც ვინ იცის რამდენი წაუყვანიათ მთიელებს ახალციხის გზით და აღმოსავლეთის ბაზრებზე გაუყიდნიათ, რომ აგრძელებდა პატარა კახის საქმეს, რომელიც გულმოკლული ჩიოდა: „ლეკთა გაალაგეს საქართველოო“. ეს ხმა მკაფიოდ ისმის მის წერილებში. „მამა ვაცხონე, ეს სულ საქართველოს სისხლის ღალადისიაო“, გაიძახოდა იგი—გასცქეროდა რა აოხრებულ დალესტანს.[1]) და გრ. ორბელიანი დარწმუნებული იყო, რომ ქუთიშას მთაზე კვლავ საქართველოს იცავდა და მისივე სიტყვით მას ცალი ფეხი ავარიის ყანყრატოზე რომ არა სდგომოდა—მთიულები „თბილისის აბანოებამდის დაიძახებდნენ ლაილასაო“.

ჩვენი აზრით ამის შემდეგ უკვე ნათელია, თუ რატომ მოხდა რომ მთიულების ბრძოლის რომანტიულმა გატაცებამ, რომელიც ტონს აძლევდა იმდროინდელ რუსულ პოეზიას—იოტის ოდენა გავლენაც ვერ მოახდინა გრ. ორბელიანის შემოქმედებაზე. ის უკვე ახლა ვერავითარ რომანტიზმს დაღესტნელების ბრძლაში ვეღარ ხედავდა.

ეს ხუთმეტი წელი მისთვის პოეტური დეპრესიის წლები იყო. „მტერი, ხალხის არეულობა,—სწერდა პოეტი ქეთევან ორბელიანს,—ომები არ მაცლიდნენ წერისთვის და ანუ რა დროს წერა იყო და ვისა ჰსცალოდა“.[2])

მთელი ამ ხნის განმავლობაში მას ერთი ორი ლექსის მეტი არ დაუწერია.

ქარიშხალი ყველა იალქნებს არა ჰყოფნიდა.

გვიან, მოხუცებაში, ისე—როგორც სიჭაბუკეში, ერთი წუთით კვლავ იგრძნო გრ. ორბელიანმა კავკასიის მთიელთა ბრძოლის სიდიადე. „ნუ თუ მართლა კავკასიაში იყო ასეთი გამწვავებული ომი და ამ სისხლისღვრაში ჩვენც ვიღებდით თითონ მონაწილეობას? იქნება უსაქმური ხალხის უბრალო რამ მონათხრობი იყოსო“,—სწერდა მოხუცი პოეტი ერთ თავის მეგობარს და რაღაც მოწიწებით ამბობდა კავკასიის შესახებ: „მორჩილებით გადაწოლილა ეს ბუმბერაზი ერთი ზღვიდან მეორემდისა და არარაიცი, მკვდარია თუ სძინავს მას“.

მაგრამ ბუმბერაზის მორჩილება ბოლმითა და რისხვით იყო სავსე.

* * *

გრ. ორბელიანის პოეზია უაღრესად პლასტიური და კონკრეტულია. ცოცხალი ადამიანური ვნებანი მის ლექსებში არასოდეს შიშველი ალეგორიების სახით არ გვევლინებიან, მის ლირიკაში ისმის ის დაფარული ჰარმონია, რომელშიც პოეტის სული გაერთანებულია მსოფლიოსთან, ჰარმონია, როცა პოეტი შთანთქმულია იმ საგანში, რომელმაც მისი ფანტაზია გააღვიძა, აღსავსეა იმ საგნით, სახეებით და რეალობით, რომელიც თავის ლექსის თემად აუღია. ეს ითქმის კერძოდ იმ ლექსებზე, რომლებშიც პოეტი თბილისის მო-

---

[1]) ასევე აფასებდა კავკასიის ომს ნიკოლოზ ბარათაშვილი. იხ. მისი ლექსი — „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა პირისპირ დაღისტნისა და ჩეჩნელთა, წელსა 1844-ს, მძღვანელობისა ქვეშე ღუბერნიის მარშლის, თავადის დიმიტრი თამაზის-ძის ორბელიანისა“.

[2]) გრ. ორბელიანი — წერილები, ტ. II, აკ. გაწერელიას რედაქციით, გვ. 65.

ქალაქის როლში დგება და მისი თვალით შეხცქერის ქვეყანას. ნათელ მხიარულებით, სულიერი თავისუფლებით და რაღაც უშუალო უზრუნველობით და სილალით აღსავსეა მისი ლექსები: „დიმიტ. ონ-ის დარდები“, „არავისთვის მე დღეს არა მცალიან“, „სავათნოვას მიბაძვა“, „გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ“, „სულით ერთნო, მოლხინენო, აწ შეკრბით“, „სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ“ და სხვები. აქაა ყველაზე უფრო მძაფრად ადგილის კოლორიტი, უკეთ რომ ვთქვათ, ნიშანწყალი თავისი დროისა და გარემოცვისა, ცოცხალი ადამიანური სინამდვილისა. აქ პოეტის ლექსი თავის რეალიზმით თითქმის უთანაბრდება ხალხურ პოეზიას, აქ ისეთი ღონიერი სიყვარულია სიცოცხლისა, იმდენი მოძრაობაა, იმდენი ფერადოვნება, რომ ხანდისხან უბრალო, უხეშ, ერთი შეხედვით შეუფერებელ და ვულგარულ შინაარსსაც ამაღლებს და პოეტურ მომხიბლველობას აძლევს. ჩვენ თითქო ცოცხლადა ვხედავთ ამ ლექსების პერსონაჟებს — დიმიტრი ონიკოვს, რომელიც ნაბადში გამოხვეული, ძაღლივითა გდია ქუჩაში და ჰყარაულობს თავის სატრფოს ბინას — ერთ მოაჯირს, ორ პატარა ფანჯარას. და ეუედრება თავის სატრფოს: „გამობრწყინდი, მოაჯირზე მზესავით, პირ-დავემხო, მიწას მადლით ვემთხიო, მაშინ მნახავ თავი ცამდე ამელოს, ჩემზე მეტად არსად არავინ ჰსჩანდეს! შეიძლიან მაშინ ვებრძო ქვეყანას, შენი ეშხი იმდენს მომცემს ძალასა“; ბეჟანა მკერვალს, რომელსაც თავისი მაკრატელი ავიწყდებოდა და ხელში ქობა მოუვლელი რჩება, როცა ქალებზე ჰფიქრობს.

არიან ცალკეული მკვლევარები, რომელნიც გრ. ორბელიანის ამ ციკლის ლექსებში მარტო შეუფერებელ სიტლანქესა ჰხედავენ. კ. კაპანელის აზრით ამ ლექსებში არის „უარყოფა იმ სულიერი სინაზისა, იმ რელიგიურ-ესთეტიური ხასიათის სევდისა, რომელიც აკავშირებს ადამიანის სულს ტანჯვის და წვალების წუთებში უსაზღვროებასთან. ყარაჩოღობა სპობს, — განაგრძობს მკვლევარი, — ამ მშვენიერ გრძნობას მასხრობით, ლრეობით, ღვინის ორთქლით, გაძღომით, ლოთობით“. [1]) კერძოდ იარალის შესახებ — სადაც პოეტი მოთალით, თევზით და მწვანილით აჭრელებულ სუფრაზე, ჯეირნის მწვადზე და კახური ღვინით ავსილ აზარფეშაზე ლაპარაკობს, — კ. კაპანელი სწერდა, რომ აქ „ფიზიოლოგიური განცდის ფორმა ისე ტლანქად არის გამოსახული, რომ სრულებით არ ეგუება რომანტიზმის იდეოლოგიას ევროპული გაგებითო“ [2]) ცხადია, ამ ლექსებში მართლაც არ არის უსაზღვროების სევდა და არ არის ის რომანტიზმი, რომელსაც კაპანელი გულისხმობს, პირიქით, აქ რეალიზმია, საუცხოო სურათებში და გათქვირებულ ფერადებში გადმოცემული. და ამ რეალიზმში მხოლოდ გარეგნული სიტლანქე როდი უნდა დავინახოთ! აქ ის თვისებებია, რომელიც საერთოდ ყველა ქვეყანაში ახასიათებდა რენესანსის ხელოვნებას. განა ფრანგული აღორძინების გენიოსის ფრანსუა რაბლეს რომანის პერსონაჟები და კერძოდ ძმა ჟანი ან პანურგი თავისი უზრუნველობით, თავისი გულღიობით და უშუალობით გრ. ორბელიანის კინტოებს არ მოგვაგონებენ? მაგრამ ვინ იტყვის, რომ რაბლეს რომანში მთავარი იყო ის შაშხისა და ძეხვის მთები, რომლებიც გრანგუზიეს ოჯახში იყო დახვავებული, ან ამავე გრანგუზიეს ნადიმი, როცა 367014 ხარი დაჰკლეს და რაღაც გრანდიო-

---

[1]) კ. კაპანელი — „ქართული სული ესთეტიურ სახეებში“, გვ. 55.
[2]) იქვე, გვ. 49-50

ზული ჭამა-სმა გააჩაღეს. ეს უხეში მატერიალური გარემოცვა, ეს ფონი, ეს აქსესუარები ეხამუშებოდა საშუალო საუკუნოების პასტორალურ ლირიკასა და იდეალიზებული რაინდობის კულტის ტრადიციაზე აღზრდილ ესთეტიურ სმენას. მაგრამ ეს არ იყო რომანის სული, ამ რომანში უხვად იყო გაფაქიზებული მორალიც და გონების საუცხოო სანუკვარიც. შეიძლება მეტისმეტად ღრმად შევიდნენ ეს მწერლები ბრბოს შუაგულში, მაგრამ ეს იმიტომ, რომ უფრო მკაფიოდ ეგრძნოთ რეალობა და უფრო დიდი მანძილით დაშორებოდნენ იმ ხელოვნებას, რომელსაც ზრდიდა საშუალო საუკუნეები ქრისტიანული დოგმატიკის მკაცრად ჩამოყალიბებულ ნორმებზე.

ვიმეორებთ, აქ ეს ტლანქი და უხეში ფონი კი არ იყო მთავარი, არამედ ის ფსიქოლოგიური ინტიმი, რომელიც მწერლებმა ადამიანის ცხოვრების უბრალო ყოველდღიურობაში იპოვნეს. აქ მთავარი იყო დაბრუნება მიწასთან, იმ ცხოვრებასთან, რომელიც მწერალს აინტერესებდა არა მარტო თავისი ლამაზი მხარეებით, არამედ მთელი არსებით. თვით უკიდურესი მოტრფიალე აბსოლიტური სილამაზისა — ჰეგელი — აღფრთოვანებული იყო მურილიოს სურათით, რომელზედაც გამოხატულია დედა, რომელიც ბიჭუნიას თავს უხილავს, ტილებს აშორებს, ხოლო ბიჭი არხეინად შეექცევა პურის ნატეხს. ჰეგელი აღფრთოვანებით ლაპარაკობდა მეორე ამგვარსავე სურათზე, რომელზედაც გამოხატულია ორი ბიჭი, ჩამოფლეთილნი და ღატაკები, რომელნიც არხეინად სჭამენ ნესვსა და ყურძენს. განა ჰეგელს ამ სურათებში ეს ჭამა და ბიჭების ჭუჭყიანი გარეგნობა მოსწონდა? სრულებითაც არა! მაშ, რა აზრით აინტერესებდა გენიალურ ფილოსოფოსს ხელოვნების ეს ნიმუშები? ის სწერდა: „ამ ხილატაკეში და სანახევროდ სიშიშვლეში გამოსჭვივის სრული უზრუნველობა და შეუწუხებლობა, ისეთი, რომლის უმჯობესი თვით დერვიშსაც კი არ შეუძლია ჰქონდეს. გამოსჭვივის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხალისის სრული გრძნობა. ეს უზრუნველობა გარეგანისათვის და ამ გარეგანში გამოხატული შინაგანი თავისუფლება არის ის, რასაც იდეალის ცნება მოითხოვს. პარიზში არის რაფაელის პორტრეტი ბიჭისა, რომელსაც თავისუფლად დაუყრდნია თავი ხელზე და ისეთი ნეტარებით, ისეთი უზრუნველი კმაყოფილებით გასცქერის შორს თავისუფალ სივრცეში, რომ არ შეგიძლია თვალი მოსწყვიტო ამ სულიერი, ხალისიანი ჯანმრთელობის გამომხატველ სურათს. იმავე კმაყოფილებას გვგვრიან მურილიოს ბიჭებიც. ხედავ, რომ მათ სხვა ინტერესები და მიზნები არ გააჩნიათ, მაგრამ არა გონებაჩლუნგობის გამო: ისინი კმაყოფილნი და ბედნიერნი არიან თითქმის როგორც ოლიმპიელი ღმერთები; ისინი არაფერს არ აკეთებენ, არაფერს არ ამბობენ, მაგრამ ისინი მთლიანი ადამიანები არიან, ჩამოსხმული ერთი ნაჭრისაგან, ყოველგვარი დარდისა და სულიერი განხეთქილების გარეშე, ხოლო ამ ყოველგვარი უნარიანობის საფუძვლის არსებობის დროს იქმნება ისეთი წარმოდგენა, რომ ასეთი ბიჭუნებიდან ყველაფერს კარგს უნდა მოველოდეთ.“

შეიძლება ითქვას, გრ. ორბელიანის პერსონაჟები ამავე თვალით არიან დანახულნი და ამავე ბუნების ადამიანები არიან, ასეთივე მთლიანნი და უზრუნველნი, ცოცხლადგადახატულნი სინამდვილიდან. გრ. ორბელიანის ამ რეალიზმზე თერგდალეულების ყურადღება თავიდანვე მიიქცია. ილია ჭავჭავაძე, თავის პირველსავე წერილში („ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვასძე ერისთა-

ვის მიერ კაზლოვის შეშლილის თარგმანზედა"), რომელიც 1861 წელს დაიბეჭდა „ცისკარში" — სწერდა:

„აბა, აიღეთ ურითმო ლექსები თავად გრ. ორბელიანისა, თუნდ ბოლონდელი ოქტომბრის „ცისკრის" „ო... დარდები"; აბა, ყურადღებით წაიკითხეთ რა პოეზიაა მაგ ურითმო ლექსშია! თვალწინ წარმოგიდგებათ ის ჩათუქესანი თბილისის ქართველი, რომლის ნატვრა და სამოთხე კახური ღვინოა, სიყვარული და ორთაჭალის ბაღები. აბა, ნახეთ ის ქართველი პაჟარნი, ნაბადწამოსხმული, ლოთურად ჩითმერდინით ყელზე, როგორ გულმოდგინეთ შეჰყურებს თავის საყვარლის ფანჯრებს. ვინც კი დაუშლის, აღრინდება და ეუბნება: „მოდი, ამ ვირს ეშხზე ელაპარაკე!" რამდენი ნამდვილობა და ჭეშმარიტებაა მის წმინდა ქართულ პოეტურ დარდებში, კვნესაში და ნატვრაში! პოეზია განსახიერებაა ჭეშმარიტებისა, ცხოვრებისა და არა ჯაჭვი უთავბოლოდ გადაბმული რითმებისა" [1]) ილია ჭავჭავაძემ ეს აზრი გრ. ორბელიანის ლექსების შესახებ თავის მოხუცობის ჟამსაც, 1892 წელსაც გაიმეორა, როცა სწერდა, რომ გრ. ორბელიანი „ო... დარდებო", „ლოპიანა", „მუშა ბოქულაძე" თითო თითო პოემათა ღირსო. [2]) როგორც ვხედავთ აქ ილია გრ. ორბელიანის პოეზიის „ნამდვილობას" იწონებს და ის ცხოვრების ჭეშმარიტ განსახიერებად მიაჩნია.

გიორგი წერეთელმაც ი. ჭავჭავაძის აზრი გაიზიარა. 1863 წელს ჟურნალ „საქართველოს მოამბეში" ის სწერდა: „შექსპირის დრამების გასაგებლად, საზოგადოებას იმდენად უნდა ჰქონდეს ესთეტიური გრძნობა გახსნილი, რომ შეეძლოს მის დრამებში თითქოს ღვთაებრივი ხელით აღმოხატული ცხოვრების ჭვრეტა, კაცის ისე ლრმად და ვრცლად გაგება, როგორც ის არის ნაჩვენები მის დრამებსა და კომედიებში. აბა ერთი მითხარით რამდენ სტატიებში აუწყა საზოგადოებას ცისკარმა ამ პოეზიის მნიშვნელობა, ან მისი ისტორიული არსება და ცვლილება, თუ როგორი შეხედულება ჰქონია ელლინელთ ქვეყანაზე, ან როგორის გრძნობით ეყრებოდნენ ბუნების ზედმოქმედებას, ან თუ რა არის პლასტიკური გრძნობა, ურომლისოდაც პოეტისაგან არ შეიძლება რეალური ცხოვრების მართლად ჭვრეტა. აბა სად გვიჩვენა ის პლასტიკური გრძნობა, რომელიც გამოსჭვეროს... თ. გრ. ორბელიანის სწორედ ხალხურის ელემენტით სავსე პოეტურ გრძნობებში, სადაც ასე აღტაცებით არის გამოყვანილი, თუ რას შეჰხარის ქართველის გული". [3])

ეს ლირიკა ერთი პოლუსი იყო გრ. ორბელიანის პოეზიისა. ეს პატრიციული ბუნების ადამიანი შეჰხაროდა მდაბიო ხალხის გულწრფელ სიყვარულს, რომელშიც არაფერი იყო თვალთმაქცური და გამოგონილი, ცივილიზაციის მიერ შერყვნილი, თითქოს ისინი იმ ადამიანის თვალით შეჰყურებდნენ ქვეყანას, რომელიც პირველად გაჩნდა ამ მიწაზე. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს პოეტის გემოვნების პრიმიტიულობა კი არა, უფრო გატაცება იყო. მიამიტი ყარაჩოელები გრ. ორბელიანის ლექსების ყველაზე საყვარელ გმირებად იქცნენ. ამპარტავანი გენერალი თავის ლექსებში უბრალო ხალხის ფიქრსა და სევდას დასტრიალებდა, მირზაჯანას, დიმიტრი ონიკოვის, ლოპიანას პირით სიცოცხლის აზრის, ადამიანის მიზნების გამოხატვასა სცდილობდა. „მუხთალს ამ

---

[1]) ი. ჭავჭავაძე — ნაწერების სრული კრებული, ტ. IV, გვ. 20-21.

[2]) იხ. იქვე, გვ. 255.

[3]) გ. წერეთელი — თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, სიმონ ხუნდაძის რედაქციით. გვ. 21.

სოფელს, ვისაცა გსურს იყო ბედნიერ, სიყვარულითა და ღვინითა ჩემებრ დაითვერ... თორემ გონებით გინდ ცა მოვლო, ჩემებრ იქნა მტვერ" — ეს იყო ამ ადამიანების ცხოვრების ფილოსოფია. ეს მსოფლშეგრძნობა გამოხატა გრ. ორბელიანმა თავის პირველივე ლექსში:

„ჰე ჭაბუკო სიხარულით
დღე შენი განატარე,
იმხიარულე, შეექეც,
ილხინე და შეიყვარე."

ეს უძველესი ფილოსოფია იყო. ბერძენთა ისტორიკოსის დიოდორე სიცილიელის თქმით ეს სიტყვები ამოჭრილ იყო თურმე ჯერ კიდევ მეფე სარდანაპალის საფლავის ქვაზე და მას შემდეგ ვინ იცის რამდენმა თაობამ გაიმეორა ის!

მაგრამ გრ. ორბელიანთან ეს კვლავ ცოცხლად და ახლებურად ისმის, რადგან პოეტმა წარსული კი არ გაიმეორა, თავისი აწმყოს რეალურ სურათებში გამოჰკვეთა ეს სოფლშეგრძნობა, თუ ალ. ჭავჭავაძის ლექსებში აქაიქ კიდევ გვხვდებიან ანტიკური აპოლონი და ამური, გრ. ორბელიანთან ყოველგვარი პირობითობა განდევნილია. მისთვის წინანდლის ვარდი აღარ იყო უბრალო პოეტური მეტაფორა, არამედ ნაცნობი ლამაზი ქალი იმ ხალხის წრიდან, რომელიც მისი ლექსის თემაც იყო და პირველი დამფასებელიც.

თავისი რეალიზმის მიუხედავად, გრ. ორბელიანის ამ ლექსებში, მაინც უნდა ითქვას, რომ ხშირად ჰედონისტური ექსტაზი სჩრდილავს ფხიზელ საზოგადოებრივ ინსტინქტებს. მეორეს მხრივ, საქმე იმაშია, რომ ყარაჩოღელი არ შეიძლებოდა ქართველი ხალხის ნამდვილ წარმომადგენლად მიგვეჩნია, ეს იყო უწარსულო და უმომავლო ფენა ხალხისა და ამიტომ მეტად ვიწრო იყო მისი ჰორიზონტი. ამას თითონ პოეტიც მშვენივრადა გრძნობდა და მარტო ამ სფეროში მას არასოდეს თავი არ შეუზღუდავს. მის პოეზიაში უფრო სერიოზული, უფრო მაღალი იდეებიცა სჩანს. ის ამდიდრებდა და აფართოებდა ქართული პოეზიის სფეროს, მის ლექსებში გაბრწყინდა ევროპის ახალი ლიტერატურის შუქიც, გოეტეს ხმაც ქართულ ლიტერატურაში პირველად ორბელიანის ლექსიდან გვესმის, მან სთარგმნა ლერმონტოვიდან გოეტეს „მთიანი მაღალნი", რომელიც გოეტეს თავის მხრივ ძველი ბერძნების პოეტის, ალკმანის ძლიერი გავლენითა ჰქონდა დაწერილი.

მაგრამ ყველაზე ერთგულად გრ. ორბელიანი ქართულ ლიტერატურის ძველ, რუსთაველურ ტრადიციებს აგრძელებდა.

როგორც ანტიური საბერძნეთისა და რომის ლიტერატურა ევროპის საშუალო საუკუნეების ხანგრძლივი ძილისაგან გამოფხიზლების ხანს წაუბაძველი სილამაზის ნიმუშად და სიცოცხლის სიყვარულის სიმბოლოებად იქმნა მიჩნეული, ასევე რუსთაველის პოეზიაც — აზრისა და გრძნობის, მზიური ოპტიმიზმის დაუშრეტელი ზღვა — ყველაზე უფრო ქართული და ყველაზე უფრო საკაცობრიო პოემა — პოეტური სკოლა იყო, რომელიც ზრდიდა ქართულ პოეზიის ოსტატებში მშვენიერებისადმი სიყვარულს, ლრმა აზრისა და ელეგიურობის, ჰაეროვნებისა და პლასტიურობის გრძნობებს, ქვეყნის რეალურად განსჭვრეტას და თავის ზეგავლენით უზრუნველჰყოფდა ქართული ლიტერატურის თვითმყოფადობას. გრ. ორბელიანის პოეზიაში რუსთაველის გავლენა ცალმხრივი იყო, შეიძლება ითქვას დაჩრდილული, მაგრამ ამ გავლენის არდა-

ნახვა მაინც შეუძლებელია. რუსთაველის პოემაში უძლიერესი და უნაზესი სიყვარულის გრძნობა, როგორც მზის შუქი, ისე მიუძღვის ადამიანებს წინ, ცხოვრების ძნელ და ბნელ გზაზე; და ამ გაგებას იზიარებს გრ. ორბელიანი.

„სიყვარული აგვამაღლებსო“ ამბობდა რუსთაველი. გრ. ორბელიანი სწერდა სიყვარულის შესახებ:

„რომლის შუქი აგვამაღლებს, რომლით სული განათლდება,
რომლით კაცი მშვენიერობს, მაშინ თვით ღმერთს ემსგავსება“.

ეს უმაღლესი სიყვარულის გრძნობა მშაფრად გამოსთქვა გრ. ორბელიანმა ლექსში „გამოსალმება.“ აქ პოეტი ორგვარ სიყვარულზე მოგვითხრობს: ერთია სიყვარული იმათი, ვისი გულიც უძლურია. ასეთი სიყვარულით, — ამბობს პოეტი, — მთიდან გადმოქანებულ წყაროსა ჰგავს, რომელიც რაც უფრო შორს მიდის ველზე, რაც უფრო გაიმინდვრებს მით უფრო უძლურდება, ფერმკრთალდება, თავისი ეშხი და ძლიერება ეკარგება. ასეთი სიყვარული გაქრება განშორებით და მერე მას ლხინი მოსდევსო. თავის სიყვარულზე კი პოეტი სწერს:

„რა ჩემებრ გული კლდოვანი მიიღებს ეშხის ბეჭედსა,
დრო იმას ვეღარ შეჰმუსრავს, თუ არ შეჰმუსრავს თვით კლდესა“.

ეს რუსთაველის დიდებული და ვაჟკაცური ადამიანების გრძნობაა, ადამიანებისა, რომლებიც მაგრად დგანან მიწაზე. რუსთაველისათვის ეს წუთისოფელი ცოდვისა და წაწყმედის მურტალი სამყოფელი კი არ არის, როგორც ამას ქრისტიანობა ქადაგებდა, არამედ „ტურფა საბალნაროა“, სადაც ადმიანები ყვავილებივით იფურჩქნებიან. არა საფლავებისა შინათა, არ მიღმა ქვეყნად არის ადამიანების ხსნა, არამედ რეალურ ცხოვრებაში, რომელიც უთვალავი ფერითაა შემკობილი და გადაშლილი.

და ეძნელება ადამიანს ამ ტურფა საბალნაროს დათმობა. ამით არის ნაკარნახევი გრ. ორბელიანის ჩივილი: „მაშინ ვჰსცან ჟამნი სამოთხის, რომ ამა სოფელს არიან, მაგრამ ახ, ჟამნი მის ტკბილნი ასე მალიად რად ჭრბიანო“.

არა მარტო სიყვარული ამაღლებს ადამიანის სულს, არამედ ბუნება. ბუნების სისპეტაკესა და სილამაზეში პოეტი ხედავს პროტესტს იმ მტრობისა და შურისძიების, იმ მძვინვარებისა და ომების მიმართ, რომელიც ადამიანებმა ერთიმეორის გასანადგურებლად გამოიგონეს. „სადღეგრძელოს“ დასასრულში მოცემულია სურათი გათენებისა; ქრებიან ცაში ვარსკვლავნი, ვარდისფრად იღებება აღმოსავლეთი, მოჰქრის დილის ნიავი, ათასის ხმებით ეგებებიან განთიადს ფრინველები, ფოთოლთა შრიალით და ყვავილთა ფშვინვით ლამაზად ლვიძებს მიძინებული ბუნება. და ამავე დროს ჯარიც ემზადება საომრად:

„ურდოც შეიძრა... ხმაურობს... დაჰკრეს ნაღარა ცისკრისა...
განემზადება საომრად რაზმი და რაზმი ჯარისა!
აი თოფიცა გავარდა... აი რბის ცხენი მხედრისა!
ამ მშვენიერსა დილასა, კაცს რად სურს სისხლი კაცისა“.

აქ ბუნება ნაჩვენებია, როგორც სიმბოლო მარადიული სათნოებისა და სიკეთისა, როგორც უმშვენიერესი ხატობა, რომელსაც დაშორდა ადამიანი და თავის წვრილმან ვერაგულ შურისმაძიებელ ინსტიქტებში ჩაინთქა.

გრ. ორბელიანი საქართველოს ბუნების დიდი მხატვარია. მისი ლექსები ბუნებაზე და განსაკუთრებით „საღამო გამოსალმებისა“ მთელი სიმძაფრით

გაწგვაცდევინებენ პოეტურ ნაღველსა და სიხარულს. აქ გრძნობა გულწრფელია, ცოცხალი და ძლიერი. „საღამო გამოსალმებისა“ — ში თითქოს ის მზის სხივები ბრწყინავენ, ყაზბეგს რომ თავს დასტრიალებენ და მკითხველს თერგის გოლიათური სუნთქვა ესმის. და იმავე დროს რა კარგად არის აქ გამოთქმული განშორების სევდა და უნაზესი სიყვარული პოეტისა. ამ ლექსმა შთაგონა ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძეს ბევრი შესანიშნავი სახე „მგზავრის წერილებისა“. რუსეთიდან მომავალ ილიას თავის სამშობლოში ფეხის შემოდგმისთანავე გრ. ორბელიანის ეს ლექსი ახსენდება და მისი რიტმი თერგის ჭექა-ქუხილის, მისი ზარიან ხმაურობის, მისი შფოთვისა და ფოთვის, მისი ქვაკლდე-ღრეჩოსთან გაუთავებელი ბრძოლის სახით ეხატება. და განა ილიას სიტყვები „ერთად ერთი ვარსკვლავი მეტად ბრწყინვალე, ზედ დაჰნათოდა, ერთს ალაგას გაჩერებული. თითქო მყინვარის დიდებულ სახეს განუცვიფრებია“, არ ეხმაურება გრ. ორბელიანის სტრიქონებს?

„მხოლოდ სჩანს მთანი მდუმარედ აყუდებულნი ცათამდის
და ყაზიბეგსა საამოდ ზედა ვარსკვლავი დაჰნათის“.

ასე შეხვდა ეს ორი დიდი პოეტი ერთი მეორეს.

ხალასი და უშუალოა გრ. ორბელიანის მიერ შეგრძნობა ბუნებისა. დასაქერის რა ტაბახმელიდან თითქმის ნახევარ საქართველოს მთებსა და მწვანე, ხალიჩასავით დაფენილ ჯეჯილებს, ჭაღარა ყაზბეგსა და მის ბუმბერაზ ძმებს, რომელნიც მზის ალმაცერად დარტყმული სხივებით განათებულან, ღრუბლებიდან თავი ამოუყვიათ და პირდაპირ ტაბახმელას უცქერიან, თუშეთის მთას ბორბალოს, გომბორსა და ციკვს, რომელნიც პერსპექტივაში დედოფლის წყაროსაკენ იკარგებიან, პოეტი პათეთიურად გაიძახის:

„... ტაბახმელავ, ლამაზო ტაბახმელავ! ქვეყნად ერთია ტაბახმელა!

... გულს როგორლაც ეფონება, დიდი ხნის დაგიწყებული სურვილი კვლავ იღვიძებს: მინდა ვმღეროდე, ვსეირნობდე, ლამაზ მანდილოსნებთან ვიყო, ერთი სიტყვით მეტად საამურ გუნებაზე ვარ“.

ბუნება სიცოცხლისა, ხალისისა და სიამოვნების დედაა. თავის პირად წერილებში პოეტი სწერს არა მარტო იმაზე, თუ რამდენი ქერი მოდის კოდაზე, არამედ მის საგაზაფხულოდ ამწვანებულ მინდვრების სილამაზეზე და მთვარეზე, რომელიც „გაბადრულ ამოდის მძიმედ, ხელმწიფურად შუქისა მომფენი“. და განა ლექსებშიც ამ სურათებს არა ხატავს? ეს არ არის მისტიკური და რომანტიული ჰვრეტა ბუნებისა, ეს უბრალო ადამიანური გრძნობაა, ნაცნობი ყველა მომაკვდავისათვის, მაგრამ გამოთქმული ისე, როგორც მხოლოდ რჩეულებს შეუძლიათ. ის ხედავს და ხატავს ბუნებას, მაგრამ არ ეძებს მის საიდუმლო ენას.

როგორც იმ ეპოქის ყველა დიდ პოეტისათვის გრ. ორბელიანისათვისაც ბუნების სიყვარული გათქვეფილია პატრიოტიზმთან. მისი პეიზაჟი დაკავშირებულია სიტყვა — მამულთან. პოეტი შესტრფის მიდამოს „სად აგვეხილენ პირველთ თვალნი“, „სად ჰრბიოდა მხიარული სიყმაწვილე ნათლად ჩვენი“, სადაც მორთულია ლაჟვარდისფრად ცისკამარა, მთვარით განათებულია ვარსკვლავიანი ფირუზი და ზურმუხტოვან ველებზე გახარებული მორბიან წყარონი, ხოლო ცამდე ასულ მთებზე მონადირე სდევს ჯიხვს და მის დაბლა,

ძის ფეხ ქვეშ ღრუბელნი მიმოდიან. და პოეტი აღტაცებული ამ ქვეყნით, — წერს:

> სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა,
> ერი—გულადი, პურადი, მებრძოლი შავის ბედისა?!
> შავთა დროთ ვერა შესცვალეს მის გული ანდამატისა,
> იგივ მხნე, იგივ მღერალი, მოყვარე თავის მიწისა".

ეს სევდა, ნაღველი არ არის, ეს სიამაყეა თავისი ქვეყნით, ეს პირველყოფილი სიყვარულია მიწით და სამშობლოთი და არა დასავლეთის რომანტიკოსის ქანცმილეული ეკზალტიურობა. აქ სამშობლოს სიყვარული აბსტრაქტიული იდეიდან გადასული და განსახიერებულია უკვდავ და მარად მწვანე, ყოველკუთხესა და ყოველ მანძილზე ულამაზეს და განუმეორებელ ბუნების სიყვარულში.

* *

და ამ სილაღესა და უზრუნველობასთან ერთად გრ. ორბელიანი ღვიძლი შვილია იმ რომანტიზმისა, რომელმაც მეცხრამეტე საუკუნე თავისი ცრემლებითა და ოხვრით აავსო.

პოეტის ყველი სიხარული სათავეშივე მოწამლულია იმ შავბედითობისგან, რომელიც დაღად აჩნდა მაშინდელ საქართველოს. გრ. ორბელიანის ლექსს თავიდანვე გამოჰყვა ტრაგიკული ინტონაცია. მისი ტემპერამენტი არ ეთანაბრებოდა, ვერ ურიგდებოდა ამ ტრაგიზმს. ამიტომაა პოეტი გაორებული და ერთი, თავიდანბოლომდე გაუღუნავი ხაზი არა ჩანს მის პოეზიაში. ერთის მხრივ იმედდაკარგულობა და უსასოო ჭმუნვა, მეორეს მხრივ სასიცოცხლო ოპტიმიზმი; ერთის მხრივ მუხამბაზი და მეორეს მხრივ ფსალმუნი; ერთის მხრივ ტფილისელი მოქალაქის დარდიმანდული შექცევა და მეორეს მხრივ უდაბნოში გახიზნული ასკეტის მარტვილობა. ერთი სალხინო, საამქვეყნო განცხრომის ჰიმნი და მეორე — რელიგიური სიმშვიდე და ნეტარება, რომელიც ამ ქვეყანას ფუჭ და წარმავალ ამაოებად აცხადებს. ეს არის რაღაც უცნაური შეერთება გლოვისა და სიხარულის, მოთქმისა და უშუალო ლირიკული ექსტაზისა.

და მუხამბაზური კილოც სწორედ მწვავე ტკივილების ერთი წუთით მაინც ჩასაქრობად იყო ნამღერები, და მაინც ვერ ანელებდა მძიმე სევდასა და ნაღველს. ახალგაზრდობის ხანშივე გრ. ორბელიანი მიმართავდა წინაპრებს, რომ თქვენი მხნეობით აღტაცებული ჭაბუკი ხმალს მისწვდებაო. ამას როცა სწერდა, შეიძლება იმ ავკანყების იმედი ჰქონდა, რომელსაც ოცდაათიან წლებში ამზადებდნენ. მაგრამ ხმალზე ხელის წატანებაც ვერ მოასწრეს, რომ ეს სუსტი ნაშიერნი ძლიერი მოდგმისა აქეთ-იქით გაფანტეს, და ამხელად დაიკარგა ყოველგვარი იმედი. მარტო წარსული დარჩა, მაგრამ სამუდამოდ დაკარგული. პოეტის ცხოვრება კი გარეგანი ბრწყინვალებით იმოსებოდა; გაიარეს კავკასიის ომებმა, გაიარა მთელმა ცხოვებამ და მოხუც პოეტს კვლავ კერაჩამქრალი და გავერნებული ბეთანია უფრო მეტ შთაგონებას აძლევს, ვიდრე ირგვლივ მოზეიმე ცხოვრება. რომანტიზმის ფილოსოფიაში შორეული მოვლენები, შორეული ადამიანები, შორიდან დანახული მთები უკვე თავის თავად პოეზია, ისე როგორც ყველა ხმა, რომელიც შორიდგან ისმის — ვოკალურია. დრომ და უმთავრესად ქვეყნის ბედმა საჭირო გახადა წარსულისკენ მიხედვა.

გრ. ორბელიანს ეს წარსული რომანტიზმის ნაღვლიან გრძნობას ყველაზე უფრო მძაფრად გამოხატავს ლექსი „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში.“ ჭმუნვით აღსავსე პოეტი მიმართავს თამარის სახეს:

„მიხარის გიმზერ, ვწუხვარ და გიმზერ
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე“.

საქართველოს წარსულს პოეტი მიიჩნევს „განვლილ ტკბილ სიზმრათ“ და „დიდებულად ჩასვენებულ მზედ“. მის გულში ხანდისხან მაინც რაღაც იმედის ნაპერწკალი ბჟუტავს, მეორე წუთს კი შემზარავი ვანწირულება ეუფლება. საქართველოს გაღვიძებასა და განახლებაზე ოცნების შემდეგ, იგი მიმართავს თამარის სახეს:

„...ცად თვალნი, გაქვს მიქცეული,
და მე ვეღარ მცნობ გულშემუსვრილსა,
დამცირებულსა, ხმა-მიღებულსა
ბედდაკარგული ივერიის-ძეს.
ეჰვით აღვსილსა, უსასოთ ქმნილსა,
გულუიმედოს, გაუხარებელს“.

ეს სკეპტიციზმი და იმავე დროს სიყვარული სამშობლოსი გრ. ორბელიანს ააახლოვებს ევროპის რომანტიკოსებთან, რომელნიც ასევე ეტრფოდნენ წარსულის ნანგრევებს, ცდილობდნენ საუკუნეებით უკან დაებრუნებინათ ქვეყანა და ისტორიის ძაფი ხელახლა დაეწყოთ. ცხადია, არ არის შემთხვევითი, რომ გ. ორბელიანის შემოქმედებაში ყველაზე უფრო წარმტაც სახედ და იდეალად თამარის დროება მოსჩანს. ამ თემას ეძღვნება ზემოხსენებული ლექსი და ადგილები „სადღეგრძელოში“. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს ტრადიციული თემა ორბელიანმა დიდი ოსტატობით განასახიერა.

ამ რომანტიზმს აქვს თავისი პოლიტიკური კონცეპცია, რომელიც დაცული არ არის „სადღეგრძელოში“. იმ დროინდელ პატრიოტულ რომანტიზმს სხვა მიზანი ჰქონდა, მამა-პაპათა სახელოვანი საქმეების გახსენებით იგი ხალხში გმირული სულის გაღვიძებასა და დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლის ცეცხლის დანთებასა ცდილობდა. ეს ითქმის კერძოდ ლეოპარდის, მიცკევიჩის, კრასინსკის და სხვათა პატრიოტული რომანტიზმის შესახებ. გრ. ორბელიანის წინააღმდეგობებმა აქაც და შეიძლება ითქვას ყველაზე მძაფრად იჩინა თავი. ჩვენ ვგულისხმობთ იმ ოდას ნიკოლოზ პირველის მიმართ, რომელიც შეტანილია „სადღეგრძელოში“ და რომელიც საერთოდ არ შეესაბამება ამ პოემის მთლიან იდეას.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ „სადღეგრძელო“ იწერებოდა 1826 წლიდან 1870 წლამდე. პოემის პირველი ვარიანტი არ ყოფილა შემღვრეული ოფიციალური პატრიოტიზმით, მასში არ ყოფილა ნიკოლოზ პირველისადმი მიძღვნილი ოდა, რომელმაც შემდეგში აზარალა ეს პოემა.

„სადღეგრძელო“ ცდაა საქართველოს ისტორიის ქრონიკების მხატვრული გაცოცხლებისა. ეს ლექსად ნათქვამი „ქართლის ცხოვრების“ ცალკე ნაწყვეტებია. მასში იხსნება აჩრდილი ფარნაოზისა, მეფე მირიანი, „მუზარადზე მგელლომ გამოსახული“ ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, რომელმაც შირვანზე და დერბენტის მიწებზე ხმლით შემოხაზა საქართველოს საზღვრები, თამარ დედოფალი, სჯულის წიგნის ავტორი ვახტანგ მეექვსე, მოხსე-

ნებული არიან ასპინძის გმირები და თავგანწირული სამასი არაგველი, მოხსენებულია ძველი ქართული ლაშქარი.

მაგრამ „სადღეგრძელოში“ წარსულის მარტო ის ფურცლებია გადაშლილი, რომლებიც აღბეჭდილი იყო ტრიუმფითა და დიდებით, თამარისა და ირაკლის სახელებიც აქ ისმის როგორც ლირიკა, როგორც განყენებული გმირული პათეტიკა. აქ არ იყო ნამდვილი ისტორიზმი, არ იყო ბრძოლისკენ ძახილი. უიმედობამ მთლიანად დაიუფლა პოეტი და სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში, უკანასკნელ ლექსად ეს ოთხი სტრიქონი ათქმევინა:

„დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ,
დაემხო ჩემი სამშობლო,
გულს მიკლავს უიმედობა,
საფლავს ჩავდივარ სიმწარით“.

ეს არ იყო ერთი წუთის განწყობილება. მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში ამ თავის სევდას უზიარებდა პოეტი საქართველოს. მის თვალწინ ახალი თაობები გამოვიდნენ ქართული მწერლობის ასპარეზზე, რომანტიკოსების თაობა თერგდალეულებმა შესცვალეს, სატკივარი და სამწუხარო კი ყველას ერთი ჰქონდა და აი სწორედ ეს მწუხარება ჩაიტანა პოეტმა სამარეში.

1940 წ. იანვრიდან „ჩვენი თაობა“ გამოდის ყოველთვიურად

ხელის მოწერის პირობები

წლიურად	18 მან.
ნახევარი წლით . . .	9 „
ცალკე ნომერი . . .	1 მ. 50 კ.

ხელის მოწერა მიიღება სახელგამის ყველა მაღაზიაში, სოიუზპეჩატის რაიბიუროებში და სახელგამის პერიოდ-სექტორში.

რედაქციის მისამართი:

ტფილისი, მაჩაბლის ქ. № 13, მწერალთა კავშირი.

ъ 553
1940

Year 1 #. 50 ∂.

Ежемесячный журнал

„ЧВЕНИ ТАОБА"

Сахелгами 1940 г. Тбилиси